# მენორა

გამოდის 1993 წლის მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

აპრილი (ნისანი) 1-15
№6 (364)
(5772)
2012

"מנורה"
עיתון יהודי בגורגיה


EMBASSY OF ISRAEL
TBILISI

שגרירות ישראל
טביליסי



**ברכת שגריר ישראל בטביליסי לחג הפסח התשע"ב**

פסח הוא חג יהודי שמופיע במקרא, והוא הראשון מבין שלושת הרגלים, פסח מציין את יציאת בני ישראל ממצרים מעבדות לחירות ומכאן גם שמו חג החירות.

הערכים העומדים בבסיס החג הפכו לסמל תרבותי ודתי. סיפור יציאת מצרים והיציאה לחופשי מעבדות העומדים בלב חג הפסח, הפכו את החירות לערך משמעותי המקבל ביטויים רחבים יותר בחג מעצם הסיפור ההיסטורי.

שמות נוספים לחג הם חג המצות על שם המצות המאכל אופייני לחג שמקורו עוד ביציאת מצרים וכן חג האביב  שכן הוא חל בעונה זו של השנה. אי לכך בנוסף לחירות חג הפסח מסמל גם התחדשות ומעגלי חיים חדשים המהווים סמל להמשכיות ולתקווה.

בשם מדינת ישראל, שגרירות ישראל בגיאורגיה משפחתי ואני, ברצוני לברך אתכם,  את בני משפחתכם ואת כל יקיריכם בחג מצות כשר ושמח, בחג אביב שמח ופורח ובחג של חירות אמיתית.

בברכה,

ד"ר יצחק גרברג

שגריר ישראל

## საქართველოში ისრაელის სრულუფლებიანი ელჩის, ბატონი იცხაკ გერბერგის საფესახო მილოცვა:

ფესახი ბიბლიაში მოხსენიებული სამი პილიგრიმული დღესასწაულიდან ერთ-ერთია. იგი აღნიშნავს ისრაელის შვილების გამოსვლას ეგვიპტური ყმობიდან, ანუ მონობიდან თავისუფლებისკენ განვლილ გზას. სწორედ აქედან მომდინარეობს მისი სახელიც.

დღესასწაულის უმთავრესი ღირებულებების გამო, იგი ებრაელი ხალხის კულტურულ და რელიგიურ სიმბოლოდ იქცა. ეგვიპტიდან გამოსვლისა და გათავისუფლების ისტორია ამ დღესასწაულის საძირკველია, სწორედ ამის წყალობით, ებრაელთათვის თავისუფლებისკენ ლტოლვა მუდამ უპირველესი ღირებულება იყო.

ფესახს სხვაგვარად „მაცის დღესასწაულსაც“ უწოდებენ იმ საკვების გამო, რომელსაც ებრაელები ამ დღეს მიირთმევენ. ამას გარდა, ფესახი გაზაფხულის, ხელახლა დაბადების, ცხოვრების ახალი ციკლის დაწყების, მუდმივობისა და იმედის დღესასწაულიცაა.

ისრაელის მთავრობისა და საქართველოში ისრაელის საელჩოს, ასევე ჩემი ოჯახის სახელით, მინდა, ფესახის დადგომა მოგილოცოთ და წმინდა, ბედნიერი, ბარაქიანი გაზაფხული გისურვოთ.

„ჯოინთის“ ფილიალი საქართველოში,

ულოცავს საქართველოს ებრაელებს ფესახის დადგომას.

გფარავდეთ ღმერთი! დაესწარით მრავალს!

**დავით ზოჰარი**

„ჯოინთის“ წარმომადგენელი საქართველოში

ძვირფასო მეგობრებო!

საქართველოს ებრაულ სათემოს მთელი გულით მივულოცავ ფესახის დღესასწაულს, რომელიც ებრაელი ხალხის ისტორიის დასაწყისს - ეგვიპტიდან გამოსვლასა და მონობისგან გათავისუფლებას უკავშირდება. მთელი ჩვენი ისტორია დაფუძნებულია გამოსვლის ხსოვნასა და შემდგომ მოვლენებზე - საკუთარი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნაზე.

განსაკუთრებული მნიშვნელობით ჟღერს სიტყვები, რომლებითაც სრულდება ფესახის სედერი: „მომავალ წელს იერუსალიმში!“ დღეს მთელი ებრაული სამყაროსა და მისი მარადიული დედაქალაქ იერუსალიმისთვის - ეს არის თავისუფლებისა და იმედის სიმბოლოები, ძალები და ჩვენი ერის კეთილდღეობა. სიტყვებით „ხაგ ფესახ სამეახ!“, ჩვენ ერთმანეთს გაზაფხულის დღესასწაულს, ჭეშმარიტი თავისუფლებისა და ებრაელების, როგორც ხალხის, ჩამოყალიბებას ვულოცავთ.

მინდა ყოველ ოჯახს ბედნიერი და ხალისიანი დღესასწაული ვუსურვო. მშვიდობა და კეთილდღეობა საქართველოსა და ისრაელს, არასოდეს დაევიწყებინოთ თავისი ხალხის ტრადიციები.

ლეშანა აბა ბი იერუშალაიმ!

**ავი ოფირი,** ებრაული სააგენტოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელი სამხრეთ კავკასიაში

ძვირფასო მეგობრებო!

წელს, 6 აპრილის საღამოს, შემობრძანდება ფესახი – დღესასწაული, რომელსაც უჭირავს გამორჩეული ადგილი ჩვენი ხალხის ცხოვრებაში.

ამ ღამით, მილიონობით ებრაელმა დატოვა მონობის სახლი – ეგვიპტე და უფლის მტკიცე ხელით, მოშეს წინამძღოლობით, გაემართა აღთქმული მიწისკენ სულიერად და ფიზიკურად თავისუფალი. მათ გააჩნდათ მხოლოდ უფლის ღრმა რწმენა, რომლითაც გადალახეს ყველა განსაცდელი და მოიპოვეს თავისუფლება, თორა და საკუთარი მიწა–წყალი.

ვულოცავ, „ხესედ ელიაჰუს“ ყველა სამეურვეო პირს, თანამშრომელს და ჩვენი თემის ყოველ წევრს ფესახის ბრწყინვალე დღესასწაულს. საუკეთესო სურვილებით, თორისა და ქაშრუთის კანონების სრული დაცვით.

„ხესედ ელიაჰუს“ დირექტორი: **რევაზ შათაშვილი**

# გილოცავთ!

## ხვალ, 6 აპრილს იწყება ფესახი — ებრაელთა ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლის დღესასწაული

ფესახი – ეს არის ებრაელთა— თორის ხალხის, დაბადების თარიღი. ეს ის პერიოდია, როდესაც ებრაელი ხალხისათვის მისი ისტორიის მანძილზე უდიდესი სასწაულები ხდებოდა. ეს ერთი მთლიანის ორი შემადგენელი ნაწილია. შემოქმედი სასწაულებს მოგვივლენს მაშინ, როდესაც ჩვენ ვასრულებთ მის ნებას. და ეს გასაგებიცაა. მან ხომ არჩევანი შემოგვთავაზა – ან უნდა ვიყოთ მისი მონები, ან - მონათა მონები. ანუ ადამიანთა, იდეალების, ფულის და მრავალი სხვა ასეთის მონები. როდესაც ჩვენ მეორე გზას ვირჩევთ, ვექცევით მატერიალური ფაქტორების გავლენის ქვეშ. სწორედ ისინი გვმართავენ ჩვენ. ხოლო თორისა და მიცვების გზის არჩევის შემთხვევაში, ჩვენ უშუალოდ შემოქმედის მმართველობის ქვეშ ვართ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ის, რაც ჩვენი გაგების მიღმაა, ის რასაც ჩვენ სასწაულს ვუწოდებთ.

ფესახის ისტორიიდან ჩვენ გვახსოვს, რომ გადარჩნენ მხოლოდ ისინი, ვინც დაიჯერა და აირჩია შემოქმედისადმი სამსახურის გზა, დანარჩენები კი აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ისტორია მეორდება, შემოქმედის კანონები უცვლელია. იგივე არჩევანის წინაშე ვდგავართ ჩვენც. იყოს ნება შემოქმედისა, რომ დამდეგი ფესახი დაგვეხმაროს სწორი არჩევანის გაკეთებაში.

**ავიმელეხ როზენბლატი**
საქართველოს მთავარი რაბინის
მოვალეობის შემსრულებელი



# გამოსვლა

## თავი მეექვსე

უთხრა უფალმა მოშეს: აწ იხილავ, რას ვუზამ ფაროს, რამეთუ ძლიერი ხელი (იძულებელყოფს მას) გაუშვას ისინი და ძლიერი ხელი აიძულებს გაყაროს თავისი ქვეყნიდან.

2. ელაპარაკა ღმერთი მოშეს და უთხრა მას: მე ვარ უფალი!

3. ყოვლადძლიერ ღმერთად გამოვეცხადე აბრაჰამს, იცხაკს და იაკობს. და ჩემი სახელი – უფალი – არ მიუწყებია მათთვის.

4. ჩემი აღთქმა დავადგინე მათთან, რათა მივცე მათ ქენაანის ქვეყანა, მათი საცხოვრებელი ქვეყანა, სადაც ცხოვრობდნენ.

5. მევე ვისმინე სულთქმა ისრაელის ძეთა, რომელთაც ეგვიპტელნი იმონებენ, და გავიხსენე ჩემი აღთქმა.

6. ამიტომ უთხარი ისრაელის ძეებს: მე ვარ უფალი, მე გამოგიყვანეთ ეგვიპტელთა წამებათაგან, მე გადაგარჩენთ მათი მონობისაგან, მე გიხსნით გაწვდილი მკლავით და განსჯებით.

7. აგიყვანთ ჩემს ხალხად და ვიქნები თქვენს ღმერთად. შეიცნობთ, რომ მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, ეგვიპტელთა წამებათაგან თქვენი გამომყვანი.

8. მიგიყვანთ იმ ქვეყანაში,რომელზეც (ფიცით) აღვმართე ხელი,რომ ის ვუბოძო აბრაჰამს,იცხაკს და იაკობს. თქვენთვის მომიცია იგი სამკვიდროდ. მე ვარ უფალი.

9. ასე ელაპარაკა მოშე ისრაელის ძეებს, მაგრამ არ უსმინეს მოშეს სულმოკლეობისა და მძიმე სამუშაოს გამო.

10. ელაპარაკა უფალი მოშეს ამ თქმით:

11. მიდი, ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს, გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

12. ილაპარაკა მოშემ უფლის წინაშე, ამ თქმით: აი, ისრაელის ძეებმა არ ისმინეს ჩემი. როგორც მომისმენს ფარო, მე ხომ ბაგებრგვილი ვარ?

13. ელაპარაკა უფალი მოშეს და აჰარონს და აბრძანებინა ისრაელის ძეთათვის და ფაროსათვის, ეგვიპტის მეფისათვის, ეგვიპტის ქვეყნიდან ისრაელის ძეთა გამოყვანა.

14. ესენი არიან თავიანთი მამისეული სახლეულების მეთაურები: ისრაელის პირმშოს – რეუბენის ძენი: ხაროხი, ფალუ, ხეცრონი და ქარმი. ესენია რეუბენის საგვარეულონი.

15. შიმონის ძენი: იემუელი, იამინი, ოჰადი, იახინი და ცოხარი და შაული, ძე ქეანაანელი დედაკაცისა. ესენია შიმონის საგვარეულონი.

16. ესენია ლევის ძეთა სახელები თავიანთი გვარტომობით: გერშონი, კეჰათი, მერარი. ლევის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ჩვიდმეტი წელი.

17. გერშონის ძენი: ლიბნი და შიმი თავიანთი საგვარეულოებით.

18. კეჰათის ძენი: ამრამი, იცჰარი, ხებრონი და უზიელი. ჰაკეთის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდა ცამეტი წელი.

19. მერარის ძენი: მახლი და მუში. ესენია ლევის საგვარეულონი თავიანთი გვარტომობითურთ.

20. და მოიყვანა არამმა იოხებედი, თავისი მამიდა, ცოლად და ქალმა მას უშვა აჰარონი და მოშე, აბრამის სიცოცხლის ხანი იყო ას ოცდაჩვიდმეტი წელი.

21. იცჰარის ძენი: კორახა, მეფეგი და ზიხრი.

22. უზიელის ძენი: მიშაელი, ელცაფანი და სითრი.

23. აჰარონმა ცოლად მოიყვანა ელიშება, ამინადაბის ასული, ნახშონის და. მას

უშვა ქალმა ნადაბი, ამიჰუ, ელაზარი და ითამარი.

24. კორახის ძენი: ასირი, ელკანა და აბისაფი. ესენია კორახელთა საგვარეულო.

25. და ელაზარმა, არახონის ძემ, ცოლად მოიყვანა ფუტიერის ასულთაგანი და უშვა მას ფიმხასი. ესენი არიან ლევიელთა მამამთავარნი თავიანთი საგვარეულოებით.

26. ეს ის აჰარონი და მოშეა, რომელთაც უთხრა უფალმა: გაიყვანეთ ისრაელის ძეები ეგვიპტის ქვეყნიდან თავიანთი ლაშქრებითურთ.

27. ისინი ელაპარაკებოდნენ ფაროს, ეგვიპტის მეფეს, ეგვიპტიდან ისრაელის ძეთა გაყვანისათვის. ესენი იყვნენ მოშე და აჰარონი.

28. და იმ დღეს იყო, რომ ელაპარაკებოდა უფალი მოშეს ეგვიპტის ქვეყანაში.

29. ელაპარაკა უფალი მოშეს, ამ თქმით: მე ვარ უფალი. რასაც მე ვლაპარაკობ შენთან, ყველაფერი ელაპარაკე ფაროს, ეგვიპტის მეფეს.

30. თქვა მოშემ უფლის წინაშე: აჰა, მე ვარ ბაგებრგვილი, როგორ მომისმენს მე ფარო?

## თავი მეშვიდე

უთხრა უფალმა მოშეს: შეხედე, ღვთის (ნაცვლად) დამიდგენიხარ ფაროსთვის. და აჰარონი, შენი ძმა, შენი წინასწარმეტყველი იქნება.

2. შენ ილაპარაკებ ყველაფერს, რასაც გიბრძანებ, ხოლო შენი ძმა აჰარონი ფაროსთან ილაპარაკებს, რომ გაუშვას ისრაელის ძენი თავისი ქვეყნიდან.

3. მე გავამძვინვარებ ფაროს გულს, გავამრავლებ ჩემს ნიშნებსა და ჩემს სასწაულებს ეგვიპტის ქვეყნად.

4. არ მოგისმენთ თქვენ ფარო და მე მივყოფ ჩემს ხელს ეგვიპტეს. და დიდი განსჯებით გამოვიყვან ჩემს ლაშქრიონებს, ჩემს ხალხს, ისრაელის ძეებს ეგვიპტის ქვეყნიდან.

5. და შეიტყობენ ეგვიპტელნი, რომ ვარ უფალი, როცა გავიწვდი ჩემს ხელს ეგვიპტეზე და გამოვიყვან ისრაელის ძეებს მათი წიაღიდან.

6. მოშე და აჰარონი ისე ქმედობდნენ, როგორც ამცნო მათ უფალმა, ისე აღასრულეს.

7. მოშე იყო ოთხმოცი წლისა, ხოლო აჰარონი ოთხმოცდა სამი წლისა, როცა ისინი ფაროსთან ლაპარაკობდნენ.

8. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს ამ თქმით:

9. თუ გეტყვით თქვენ ფარო, ამ თქმით: ჰყავთ სასწაული, უთხარი აჰარონს: აიღე შენი კვერთხი და წინ დაუგდე ფაროს – გველად იქცევა იგი.

10. მივიდნენ ფაროსთან მოშე და აჰარონი და იმოქმედეს ისე, როგორც ბრძანა უფალმა. გადაისროლა აჰარონმა თავის კვერთხი ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა გველად.

11. უხმო ფარომ ბრძენებსა და ჯადოქრებს. და მათაც, ეგვიპტის გრძნეულებმა, თავიანთი ჯადოქრობით იგივე გააკეთეს.

12. გადაისროლეს თავიანთი კვერთხები და იქცნენ გველებად. და შთანთქა აჰარონის კვერთხმა მათი კვერთხები.

13. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ილაპარაკა უფალმა.

14. უთხრა უფალმა მოშეს: გული დაუმძიმდა ფაროს, უარობს ხალხის გაშვებას.

15. წადი დილით ფაროსთან. აჰა, წყალთან გამოვა და შენ დადექი მის შესახვედრად, ნილოსის პირას. და კვერთხი, გველად რომ იქცა, ხელთ აიღე.

16. უთხარი მას: უფალმა, ებრაელთა ღმერთმა, მომავლინაო შენთან, ამ თქმით: გაუშვი ჩემი ხალხი და უდაბნოში მმსახურებდეს მე. და აჰა, არ ისმინე აქამდე.

17. ასე თქვა უფალმა: ამით შეიტყობ, რომ მე ვარ უფალი: აჰა, ამ კვერთხს, ჩემს ხელთ რომ არის, დავკრავ ნილოსის წყალს და სისხლად იქცევა.

18. თევზი, რომელიც ნილოსშია, მოკვდინდება. აყროლდება ნილოსი და ეგვიპტელნი ველარ დალევენ წყალს ნილოსიდან.

19. უთხრა უფალმა მოშეს: უთხარი აჰარონს: აიღეო შენი კვერთხი და გაიწოდე შენი ხელი ეგვიპტელთა წყლებზე: მათ მდინარეებზე, მათ ნაკადულებზე, მათ ტბებზე და მათი წყლების ყოველ შესაკრებელზე, და იქცევიან სისხლად, სისხლი იქნება ეგვიპტის მთელ ქვეყანაში, ხეში თუ ქვაში.

20. ისე იმოქმედეს მოშემ და აჰარონმა, როგორც ბრძანა უფალმა. აღმართა კვერთხი და დასცა ნილოსის წყალს, ფაროსა და მის მორჩილთა წინაშე, და იქცა სისხლად ნილოსის მთელი წყალი.

21. მოკვდინდა თევზი ნილოსში, აყროლდა ნილოსი და აღარ ძალუძდათ ეგვიპტელებს წყლის სმა ნილოსიდან. და იყო სისხლი ეგვიპტის მთელ ქვეყანაში.

22. იგივე იმოქმედეს ეგვიპტელმა გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ უსმინა მათ, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

23. უკუიქცა ფარო და მივიდა თავის სახლში. და არც ამან გარდაქმნა მისი გული.

24. და მთელი ეგვიპტე თხრიდა ნილოსის ირგვლივ, სასმელი წყალი (რომ ეპოვათ), რამეთუ არ ძალუძდათ ნილოსის წყლის სმა.

25. უფლის მიერ ნილოსის წახდენის შემდეგ შესრულდა შვიდი დღე.

26. უთხრა უფალმა მოშეს: მიდი ფაროსთან და უთხარი მას, ასე თქვაო უფალმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურობდეს მე.

27. და თუ უარობ შენ გაშვებას, აჰა, გომბეშოებით გავგმირავ მთელ შენს საზღვრებს.

28. ნილოსი გამოაქვეწარმავლებს გომბეშოებს, ამოვლენ და შეესევიან შენს სახლს, შენს საწოლ ოთახს, შენს სარეცელს, შენს მორჩილთ სახლებს, შენს ხალხს, შენს თონეებსა და შენ ვარცლებს.

29. შემოგესევათ გომბეშოები და თავად შენ, შენს ხალხს და მთელ შენს მორჩილებს.

## თავი მერვე

უთხრა უფალმა მოშეს: უთხრა აჰარონს: გაიწოდე შენი ხელი შენი კვერთხითურთ მდინარეებზე, ნაკადულებზე, ტბებზე და ამოიყვანე გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად.

2. გაიწოდა აჰარონმა თავისი ხელი ეგვიპტის წყლებზე და ამოვიდა გომბეშო და დაფარა ეგვიპტის ქვეყანა.

3. იგივე მოიმოქმედეს გრძნეულებმა თავიანთი ჯადოქრობით: ამოიყვანეს გომბეშოები ეგვიპტის ქვეყნად.

4. იხმო ფარომ მოშე და აჰარონი და უთხრა: შეევედრეთ

უფალს და მოაშოროს გომბეშოები ჩემგან და ჩემი ხალხისგან. და გავუშვებ ამ ხალხს და შესწირონ მსხვერპლი უფალს.

5. უთხრა მოშემ ფაროს: იყავ ზვიადი ჩემდამი (და დამიდგინე), როდის შევევედრო შენთვის, შენს მორჩილთათვის, შენი ხალხისთვის – გომბეშოთა მოსასპობად შენგან და შენს ხალხთაგან, მხოლოდ ნილოსში დარჩებიან.

6. უთხრა: ხვალ. უთხრა (მოშემ): შენი სიტყვისამებრ იყოს, რათა იცოდე, რომ არავინ არს, ვითარცა უფალი, ჩვენი ღმერთი.

7. და მოგშორდებიან გომბეშოები შენ და შენს სახლებს, შენს მორჩილებს და შენს ხალხს მხოლოდ ნილოსში დარჩებიან.

8. გამოვიდნენ მოშე და აჰარონი ფაროსგან. და ღაღადჰყო მოშემ უფლის მიმართ გომბეშოთა გამო, რომელნიც შეუსია ფაროს.

9. და აღასრულა უფალმა მოშეს სიტყვა და მოკვდინდნენ გომბეშოები სახლებში, ეზოებსა და ყანებში.

10. მოაგროვეს ისინი გროვებად და ამყრალდა ქვეყანა.

11. იხილა ფარომ, რომ იყო მოფონება და გაიმძვინვარა თავისი გული, არ მოუსმინა მათ როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

12. უთხრა უფალმა მოშეს: უთხარი აჰარონს: გაიწოდე შენი კვერთხი და დაჰკარი მიწის მტვერს და გარდაიქცევა მკბენარად მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

13. და ასეც გააკეთეს: გაიწოდა აჰარონმა თავისი ხელი თავისი კვერთხითურთ და დაჰკრა მიწის მტვერს, და მოედო მკბენარი ადამიანსა და პირუტყვს, მთელი მიწის მტვერი მკბენარად იქცა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

14. და ასე მოიმოქმედეს გრძნეულებმაც თავიანთი ჯადოქრობით, რომ გამოედევნათ მკბენარები, მაგრამ ვერ შეძლეს. და მოედო მკბენარი მიწას და პირუტყვს.

15. უთხრეს გრძნეულებმა ფაროს: ეს ღვთის თითია! და გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ მოუსმინა მათ, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა უფალს.

16. უთხრა უფალმა მოშეს: ადექი დილაადრიანად და წარდექი ფაროს წინაშე. აჰა, გამოდის წყალთან, და უთხარი მას: ასე თქვაო უფალმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურობდეს მე.

17. თუ არ გამოუშვებ ჩემ ხალხს, აჰა, მოგისევ აროვს (გარეულ მხეცეთა და ქვეწარმავალთა ნარევს) შენ და შენს მსახურთ, შენს ხალხს, შენს სახლებს და აივნებსა აროვით ეგვიპტელთა სახლები და ის მიწაც, სადაც ისინი არიან.

18. და გამოვყოფ იმ დღეს გოშენის მიწას, სადაც ჩემი ხალხი დგას, რომ იქ არ იყოს აროვი, რათა იცოდე, რომ ქვეყნის წიაღში ვარ მე, უფალი.

19. დავდებ განაპირებას ჩემს ხალხსა და შენს ხალხს შორის. ხვალ იქნება ეს ნიშანი.

20. და ასე გააკეთა უფალმა. შეესია მძიმე აროვი ფაროს სახლეულს, მის მორჩილთა სახლეულს, მთელ ეგვიპტის ქვეყანას, წარიხოცა ქვეყანა აროვისაგან.

21. უხმო ფარომ მოშეს და აჰარონს და უთხრა: წადით, შესწირეთ მსხვერპლი თქვენს ღმერთს ამ ქვეყანაში.

22. უთხრა მოშემ: არასწორია ამის კეთება, რამეთუ სისაძაგლეა ეგვიპტელთათვის ჩვენი მსხვერპლშეწირვა უფლისადმი, ჩვენი ღმერთისადმი. ხომ ჩაგვქოლავენ, რომ შევწიროთ ეგვიპტელთათვის საძაგელი მსხვერპლი მათ თვალწინ?

23. სამი დღის სავალ გზაზე წავალთ უდაბნოში და შევწირავთ მსხვერპლს, უფალს, ჩვენს ღმერთს, როგორც გვიბრძანებს ჩვენ.

24. უთხრა ფარომ: მე გაგიშვებთ თქვენ და შესწირეთ მსხვერპლი უფალს, თქვენს ღმერთს, უდაბნოში, მხოლოდ შორს ნუ წახვალთ. შეევედრეთ ჩემთვის.

25. უთხრა მოშემ: აჰა, მე გავდივარ შენგან და შევევედრები უფალს, რომ ხვალვე გაშორდეს აროვი ფაროს, მის მორჩილთ და მის ხალხს. მხოლოდ შეწყვიტოს დაცინვა ფარომ და არგაშვება ხალხისა უფლისათვის მსხვერპლის შესაწირად.

26. გავიდა მოშე ფაროსგან და შეევედრა უფალს.

27. აღასრულა უფალმა მოშეს სიტყვა და მოაშორა აროვი ფაროს, მის მორჩილთ და მის ხალხს. ერთიც არ დარჩენილა.

28. გაიმძვინვარა გული ფარომ ამჯერადაც და ხალხი არ გაიშვა.

## თავი მეცხრე

უთხრა უფალმა მოშეს: მიდი ფაროსთან და ელაპარაკე მას: ასე თქვაო უფალმა,

ებრაელთა ღმერთმა – გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურებდეს მე.

2. თუ იუარებ შენ მათ გაშვებას და კვლავ შეაკავებ,

3. აჰა, უფლის ხელი იქნება შენს სამწყსოზე, მინდვრად რომ გყავს – ცხენებზე, სახედრებზე, აქლემებზე და ცხვარძროხაზე – ფირად მძიმე ჭირი.

4. გამოყოფს უფალი ისრაელის სამწყსოს ეგვიპტელთა სამწყსოსაგან და არაფერი არ დაეხოცებათ ისრაელის ძეებს.

5. დაადგინა დრო უფალმა და თქვა: ხვალ მოიმოქმედებს ამ საქმეს უფალი ქვეყანაში.

6. მოიმოქმედა უფალმა ეს საქმე მეორე დღეს და გაწყდა ეგვიპტელთა მთელი სამწყსო, ხოლო ისრაელის ძეთა სამწყსოთაგან არც ერთი არ მოკვდინებულა.

7. წარავლინა შესატყობად ფარომ და, აჰა, არც ერთი არ იყო მოკვდინებული ისრაელის სამწყსოთაგან. გამძვინვარდა ფაროს გული და ხალხი არ გაუშვა.

8. უთხრა უფალმა მოშეს და აჰარონს: აიღეთ თქვენ სავსე პეშვი საკირის ნაცარი და ცისკენ ააფრქვიოს მოშემ ფაროს თვალწინ.

9. იქცევა მტვრად მთელი ეგვიპტის ქვეყნისათვის და ჩირქოვან წყლულებად გამოეყრება ადამიანს და პირუტყვს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

10. აიღეს საკირის ნაცარი და წარდგნენ ფაროს წინაშე. ააფრქვია ის მოშემ ცისკენ და იქმნა გამონაყარი ჩირქოვან წყლულებად, ადამიანსა და პირუტყვზე.

11. და ვერ შეძლეს გრძნეულებმა წარდგენა მოშეს წინაშე გამონაყარის გამო, რამეთუ გამონაყარი ჰქონდათ გრძნეულებსაც და მთელს ეგვიპტეს.

12. გაამძვინვარა უფალმა ფაროს გული და არ ისმინა მათი, როგორც ნალაპარაკები ჰქონდა მოშესთვის უფალს.

13. უთხრა უფალმა მოშეს: ადექი დილაადრიანად, წარდექი ფაროს წინაშე და უთხარი მას: ასე თქვაო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: გაუშვი ჩემი ხალხი და მმსახურებდეს მე.

14. რამეთუ ამჯერად ყველა ჩემს სენს მოვივლენ შენს გულს, შენს მორჩილთ და შენს ხალხს, რათ შეიტყო, რომ არავინ არის ჩემი სადარი მთელს დედამიწაზე.

15. რამეთუ ახლავე გავიწვდიდი ჩემს ხელს და მოგსრავდი შავი ჭირით შენ და შენს ხალხს და წარიხოცებოდი ამ ქვეყნიდან.

16. მაგრამ იმისთვის დაგტოვე, რათა ჩემი ძალა გიჩვენო და აუწყო ჩემი სახელი მთელს ქვეყანას.

17. შენ კვლავ ქედმაღლობ ჩემს ხალხზე, რომ არ გაუშვა.

18. აჰა, ვაწმივებ ხვალ ამ დროს მძიმე სეტყვას, რომლის მსგავსი ეგვიპტეში არ ყოფილა დღიდან მისი დაფუძნებისა აქამდე.

19. და აწ წარავლინენ (მორჩილი), წამოასხი შენი სამწყსო და ყველაფერი, რაც მინდვრად გყავს. ყოველი ადამიანია და პირუტყვი, რაც კი მდელოზე დარჩება და შინ არ შეიკრიბება, დაისეტყვება და გაიჟლიტება.

20. ფაროს მორჩილთაგან ვინც შეუშინდა უფლის სიტყვას, სახლებში შეაფარა თავისი მონები და თავისი სამწყსო.

21. და ვინც არ მიაპყრო თავისი გულისყური უფლის სიტყვას, მინდორში დატოვა თავისი მონანი და თავისი სამწყსო.

22. უთხრა უფალმა მოშეს: ცისკენ გაიწოდე შენი ხელი და დაისეტყვება მთელი ეგვიპტის ქვეყანა, ადამიანი, პირუტყვი, მთელი მინდვირს ბალახი ეგვიპტის ქვეყანაში.

23. ცისკენ გაიწოდა მოშემ თავისი კვერთხი და გამოსცა უფალმა ხმები და სეტყვა. ცეცხლი ვიდოდა დედამიწაზე და აწვიმა სეტყვა უფალმა ეგვიპტის ქვეყნად.

24. იყო სეტყვა და ცეცხლი გიზგიზებდა სეტყვის წიაღში. ფრიად მძიმე იყო (სეტყვა), რომლის მსგავსი არ ყოფილა მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, დროიდან ერად შექმნისა.

25. ყველაფერი მოსრა სეტყვამ მთელს ეგვიპტის ქვეყანაში, რაც კი მინდვრად დარჩა, ადამიანიდან პირუტყვამდე. მინდვრის მთელი ბალახი მოსრა სეტყვამ და მინდვრის ყოველი ხე დალეწა.

26. არ იყო სეტყვა მხოლოდ გოშენის მხარეში, სადაც ისრაელის ძენი იმყოფებოდნენ.

27. წარავლინა ფარომ (თავისი მორჩილნი), იხმო მოშე და აჰარონი და უთხრა: ამჯერად შევცოდე. უფალი მართალია. მე და ჩემი ხალხი – დამნაშავენი.

28. შეევედრეთ უფალს, შეწყდეს სეტყვა და ღვთიური ხმები, თქვენ გაგიშვებთ და მეტს აღარ დაყოვნდებით.

29. უთხრა მას მოშემ: ქალაქიდან გასვლისას ჩემს ნებებს გავშლი უფლისკენ, შეწყდება ხმები და აღარ იქნება სეტყვაც, რათა შეიტყო, რომ უფლისაა ეს ქვეყანა.

30. ვიცი, რომ ჯერ კიდევ არ შეუშინდებით უფალ ღმერთს შენ და შენი მსახურნი.

31. იგვემა სელი და ქერი, რამეთუ ქერი ამოთავდა და სელი ღეროში (ჰყვაოდა).

32. ხორბალი და ასლი არ იგვემა, რამეთუ ისინი საგვიანოა.

33. გავიდა მოშე ფაროსგან ქალაქგარეთ და თავისი ვნებები უფლისკენ გაშალა. შეწყდა ხმები და სეტყვა, მიწაზე აღარ იღვრებოდა წვიმა.

34. იხილა ფარომ, რომ შეწყდა წვიმა, ხმებიც და სეტყვაც, და კვლავ შესცოდა. დაიმძიმეს გული მან და მისმა მორჩილებმა.

35. გაუმძვინვარდა გული ფაროს და არ გაუშვა ძენი ისრაელისა, როგორც მოშეს მეშვეობით ჰქონდა ნალაპარაკები უფალს.

## თავი მეათე

უფალმა უთხრა მოშეს: მიდი ფაროსთან, რამეთუ მისი გული და მისი მორჩილთა გული მე დავამძიმე, რათა ეს ჩემი ნიშნები მის წიაღში დამეფუძნებინა,

2. რომ გეამბნა შენი შვილისა და შენი შვილთაშვილის ყურადსაღებად, რასაც ვიქმოდი მე ეგვიპტეში და რა ნიშნებიც მოვუვლინე მათ, რომ გცოდნოდათ, რომ უფალი ვარ.

3. მივიდნენ მოშე და აჰარონი ფაროსთან და უთხრეს მას: ასე თქვაო უფალმა, ებრაელთა ღმერთმა: როდემდის იუარებ ჩემს წინაშე დამორჩილებას? გაუშვი ჩემი ხალხი და მსახურობდეს მე.

4. თუ იუარებ ჩემი ხალხის გაშვებას, აჰა, შენს საზღვრებს ხვალვე მივუსევ კალიას.

5. დაფარავს მიწის თვალსაწიერს და შეუძლებელი იქნება ხილვა მიწისა. შთანთქავს გადარჩენილთა ნარჩენს, თქვენთვის დარჩენილს სიტყვიდან. შთანთქავს ყოველ ხეს, მინდვრად, რომელიც თქვენთვის იზრდება.

6. აავსებენ შენს სახლებს, შენს მსახურთა სახლებს და ყველა ეგვიპტელის სახლს, – რაც არ უხილავს შენს მამებს და შენი მამების მამებს იმ დღიდან, რაც არსებობენ დედამიწაზე. უკუიქცა (მოშე) და გავიდა ფაროსგან.

7. უთხრეს ფაროს მისმა მორჩილებმა: როდემდის იქნება ეს ჩვენს მახედ? გაუშვი ეს ხალხი და ემსახურონ უფალს, თავიანთ ღმერთს. ნუთუ ჯერაც არ უწყი, რომ ეგვიპტე იღუპება?

8. დააბრუნეს მოშე და აჰარონი ფაროსთან და უთხრა მათ (ფარომ): წადით, ემსახურეთ თქვენს უფალ ღმერთს. და ვინ წახვალთ?

9. უთხრა მოშემ: ჩვენი ჭაბუკებითა და მოხუცებითურთ წავალთ. ჩვენი ძმებითა და ასულებითურთ და ჩვენი ცხვარძროხითურთ წავალთ, რამეთუ საუფლო დღე სასწაული გვაქვს.

10. უთხრა მათ (ფარომ): ისე უფალი იყოს თქვენთან, როგორც მე თქვენი წვრილშვილითურთ გაგიშვათ, ხომ ხედავთ, თქვენს წინაშე ბოროტი (ზრახვაა).

11. ასე არა! მხოლოდ მამაკაცები წადით და ემსახურეთ უფალს, რამეთუ თქვენ ითხოვთ ამას. და გაყარეს ისინი ფაროსაგან.

12. უთხრა უფალმა მოშეს: გაიწოდე შენი ხელი ეგვიპტის ქვეყანაზე კალიის (გამოსახმობად) და შეესიოს ეგვიპტის ქვეყანას, შთანთქას ქვეყნის მთელი ბალახი, ყველაფერი, რაც კი დატოვა სეტყვამ.

13. და აღმართა თავისი კვერთხი მოშემ ეგვიპტის ქვეყანაზე და წარმოავლინა უფალმა აღმოსავლეთის ქარი ქვეყნად. (ქროდა ქარი) მთელს იმ დღესა და ღამეს. იქმნა დილა და მოზიდა აღმოსავლეთის ქარმა კალია.

14. შეესია კალია მთელს ეგვიპტის ქვეყანას და დაესვენა ფრიად მძიმედ ეგვიპტის მთლიან საზღვარზე. უწინ არ ყოფილა ასეთი კალია და ამისდაგვარი არც მას შემდეგ იქნება.

15. დაფარა მთელი მიწის თვალსაწიერი და დაბნელდა მიწა, შთანთქა ქვეყნის ყველა ბალახი და ხის ყველა ნაყოფი, რომელიც დატოვა სეტყვამ. არ შერჩენია სიმწვანე ხეს და მინდვრის ბალახს მთელს ეგვიპტის ქვეყანაში.

16. სასწრაფოდ იხმო ფარონ მოშე და აჰარონი და უთხრა: შევცოდე უფალს, თქვენს ღმერთს, და თქვენც.

17. და აწ, გენუკვი, ამჯერად მომიტევე ცოდვა. შეევედრეთ თქვენს უფალ ღმერთს და განაშოროს ჩემგან ეს სიკვდილი.

18. გამოვიდა (მოშე) ფაროსგან და შეევედრა უფალს.

19. შემოაქცია უფალმა ზღვის ფრიად ძლიერი ქარი, მოზიდა კალია და მეწამულ ზღვაში ჩაყარა. ერთი კალიაც არ დარჩენილა ეგვიპტის მთელ საზღვარზე.

20. გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს და არ გაუშვა ფარომ ძენი ისრაელსა.

21. უთხრა უფალმა მოშეს: ცისკენ გაიწოდე ხელი და იქნება წყვდიადი ეგვიპტის ქვეყნად. ხელშესახები წყვდიადი.

22. ცისკენ გაიწოდა თავისი ხელი მოშემ და იქმნა ნისლოვანი წყვდიადი მთელს ეგვიპტის ქვეყნად სამი დღე.

23. არ უხილავს კაცს თავისი ძმა, სამ დღეს არავინ არ ამდგარა თავისი ადგილიდან. ხოლო ისრაელის ძეებს სინათლე ჰქონდათ თავიანთ სადგომებში.

24. უხმო ფარომ მოშეს და უთხრა: წადით, ემსახურეთ უფალს, მხოლოდ თქვენი ცხვარ-ძროხა დარჩეს, წვრილშვილიც თან წაიყოლეთ.

25. უთხრა მოშემ: შენც მოგცემ მსხვერპლებს და აღსავლენებს და შევწირავთ უფალს, ჩვენს ღმერთს.

26. და ჩვენი სამწყსოც წამოვა ჩვენთან, ჩლიქიც კი არ დარჩება, რამეთუ მისგან ავიღებთ ჩვენი უფალი ღმერთის სამსახურებელს, და ჩვენ არ ვიცით, რით ვემსახუროთ უფალს, სანამ იქ არ მივალთ.

27. გაუმძვინვარა უფალმა გული ფაროს და არ ინება მათი გაშვება.

28. უთხრა მას ფარომ: წადი, გამშორდი! ფრთხილად იყავი, ჩემი სახე აღარ იხილო, რამეთუ იმ დღესვე მოკვდები, როდესაც იხილავ ჩემს სახეს.

29. უთხრა მოშემ: სწორად ლაპარაკობ. შენს სახეს აღარ ვიხილავ.

***თარგმანი ძველი ებრაულიდან შალომ დავიდისა***

# ქართული პალესტინიანა

## იცხაკ დავიდი

ქართული სამეცნიერო საზოგადოება, ჩვენი გაზეთის მკითხველი კარგად იცნობს იცხაკ დავიდს – ჩინებულ მეცნიერს, ისტორიკოსს, რომლის შრომები დაინტერესებულ პირთ უზარმაზარ სამსახურს უწევს. ქართველი ებრაელი მეცნიერის მოღვაწეობა მრავალმხრივ ინტერესს აღძრავს: მკვლევარი, პოლიტიკური თეორიის ჩამომყალიბებელი, პოეტი, ეს ყველაფერი ერთ პიროვნებაში ერთიანდება, მაგრამ არის კიდევ ერთი მხარე იცხაკ დავიდის მოღვაწეობისა – მას ძალიან მნიშვნელოვანი, იქნებ, გადამწყვეტი კონსულტაცია გაუწევია არაერთი შემოქმედისათვის, როცა ისინი ბიბლიურ თემებზე თუ ებრაულ სიტყვიერებაზე მუშაობდნენ. ამიტომაა, მისი ნააზრევის ციტატას, თუ ანასხლეტს აქა-იქ წააწყდებით.

1976 წელს ისრაელში გამოვიდა იცხაკ დავიდის შრომების ორი ტომი. პირველ ტომში შესულია მისი „ქართული პალესტინიანა“, რომელიც გახლავთ სერიოზული მეცნიერული გამოკვლევა ქართულ-ებრაული ურთიერთობისა და რაც მთავარია, წიგნში წარმოდგენილია იერუსალიმის ჯვრის მონასტრის წარსული თუ თანამედროვეობა.

1. შესავალი
2. ქართულ-ებრაული რელიგიურ-ეთნიკური ურთიერთობების პრობლემა
3. საქართველო – პალესტინის ურთიერთობათა ისტორიიდან
4. ქართული სიძველენი პალესტინაში
5. ჯვრის მონასტერი (ისტორია, თანამედროვეობა)

გვეწადა მკითხველისათვის წარგვედგინა იცხაკ დავიდის ერთობ საინტერესო ლიტერატურული რემინისცენციები – ამ შრომაში ხომ ი. დავიდი მრავალმხრივ საინტერესო პოეტური აზროვნების ადამიანად წარმოგვიდგება, მაგრამ არჩევანი მაინც „ქართულ პალესტინიანაზე“ შევაჩერეთ.

როცა ჩვენი განზრახვა იცხაკ დავიდს გავაცანით, მან თქვა:

— მივესალმები თქვენს წამოწყებას. ადრეულ წლებში გივი ღამბაშიძეს ეწადა ცალკე წიგნად გამოეცა, სამწუხაროდ, არ გამოვიდა. მინდა, მადლობა ვუთხრა ,,მენორას“ მხარდაჭერისათვის.

ახლა რაც შეეხება, საქართველოს ხელისუფლების მეცადინეობას ჯვრის მონასტრის დაბრუნებისათვის: რასაკვირველია, ჯვრის მონასტერი მშობლიურ წიაღს უნდა დაუბრუნდეს, რასაკვირველია, იგი უნდა იყოს ქართველი ხალხის საკუთრებაში. ამას ვამბობ დაბეჯითებით და ხაზგასმით. 70-იან წლებში დიდხანს ვმუშაობდი ჯვრის მონასტერში, კარგად ვიცი მისი წარსული, ისიც, თუ რაოდენ რთულ საქმეს შეეჭიდა საქართველოს ხელისუფლება. წარმატებას ვუსურვებ მას!

*თ-სა აგოვსტოსა 3-სა ფერის ცვალებაი*
*(მე-5 საუკუნის სვინაქსარიდან)*

01. 1975 წლის ზაფხულში, სამხედრო სარეზერვო სამსახურში ყოფნის დროს, დოვ გაპონოვის სახ. კავკასიოლოგიური (ადრე ქართველოლოგიური) კომიტეტისა და საქართველოდან გამოსულ ებრაელთა გაერთიანების ინიციატივით (თ-ე ბ-ნი რ. ბალუაშვილი), მოეწყო პირველი სამეცნიერო-კვლევითი ექსპედიცია იერუშალაიმში, ჯვრის მონასტერში. ექსპედიციის მუშაობა, ამ სტრიქონების ავტორის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა. ცხადია, ადრეც არაერთხელ ვიყავი უკვე ნამყოფი, ამ დიდებულსა და ისტორიულ სავანეში, რომლის მოხილვა-დათვალიერებასაც ყოველთვის ახლდა თან მღელვარება და გულის ფანცქალი, თითქოს საუკუნეების, ძველი ქართველების მარად დარჩენილი სულის ღაღადისის თანაზიარი ხდები, როცა ამ კედლებს შეჰყურებ, ამ გუმბათს შესციცინებ, ამ არემარეთი ტკბები. წინასადაზვერვო და მოსამზადებელი სამუშაოებიც ჩვენი ადრინდელი მოგზურობისას იქნა ჩატარებული. არაბი ორთოდოქსი ბერიც იეროთოსი ჩქარა ისე დამიახლოვდა და დამიმეგობრდა, რომ მზად იყო, ყოველგვარი დახმარება აღმოეჩინა. ძირითადად არაბულად ვსაუბრობდით, თუმც, შიგადაშიგ, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ჩემი ახალბერძნულის ცოდნა მაძლევდა, ამ ენაზეც ვსაუბრობდით. (1976 წლის დასაწყისში ბერი იეროთოსი ბეთ-ლეხემში იქნა გადაყვანილი და მის მაგივრად მონასტერში ნარკისი მოვიდა.) გარკვეული დახმარება გაგვიწიეს აგრეთვე ქ. იერუშალაიმის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა.

02. პალესტინა და საქართველო, ამჟამად ჯვრის მონასტერში იქნა ფოკუსირებული, ამ ორი უძველესი, ისტორიული, საუცხოო კულტურების მქონე ორი ქვეყნის კავშირი ხსენებული მონასტრის კედლებში გაინასკვა. რელიგიათა აღზევების ისტორიულმა კანონზომიერებამ ისინი მჭიდროდ დაუკავშირა ერთმანეთს და ეს კავშირი მხოლოდ რელიგიით და ლიტერატურით არ შემოფარგლულა. იუდეველი ერის წიაღში იშვა ქრისტიანობა, ჰუმანური ცნობიერების ახალი ფორმებით, მსოფლიო ისტორიის წრებრუნვის რომაულ ეტაპზე. ქრისტიანობა მიიღო ქართველმა ერმაც (მე-4 ს. ახ. წ.) და მით გახდა პალესტინოფილური იდეოლოგიის უნებური გამტარებელი თავის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე.

დღესაც, ჩვენ ჩვენეულ ხარკს ვუხდით ჩვენს წარსულს, ჩვენს ტრადიციებს და ეს მოვლენა ორი ძირითადი ასპექტით არის განპირობებული, რამეთუ:

1). რელიგია არის ის, რაც მთელი თავისი ისტორიულობით, ტრადიციულობით, ლეგენდარულობით, წინაპრულობით თავს ეხვევა რთულ, კონკრეტულ თანამედროვეობაში გახლართულ ინდივიდს, რომელიც მთელი თავისი ინდივიდუალური, ჰუმანური ლოგიკურობით უძლურია, წინ აღუდგეს წინაპრულ საწყისს.

2). ენა კი თავისი წარმოშობა-განვითარების (ეთნოგლოტოგონიის) სხვადასხვა ეტაპებზე თანდათანობით დიფუზიას განიცდიდა. დღეს, მაგ. თეორიულ-ისტორიულად ერთანბანოვანი ლინგვისტური არეალის ფარგლებში ვმოღვაწეობთ, თუმცა პრაქტიკული გამოსახვის თვალსაზრისით სხვადასხვა ანბანებთან გვაქვს საქმე.

მომავალშიც, არა ერთი თაობა დაუბრუნდება ქართული პალესტინიანის სხვადასხვა საკითხების კვლევას, სამუშაოს რა გამოლევს, ანალოგიური საკითხებისა და პრობლემების წრეს რა ამოწურავს, ყველა იტყვის თავის სათქმელს, თავის შესაბამის დასკვნებსაც გააკეთებს. ყოველივე ეს, თავის წვლილს შეიტანს ქართველი და ებრაელი ერების დაახლოებაში, ურთიერთგაგებაში, მათი ისტორიული ურთიერთობების სინთეზია ამის საწინდარი, ამდენად, ქართული პალესტინიანის ზოგიერთი საკითხის ჩვენეული ინტერპრეტაციით, ვფიქრობთ, მცირედზე მცირედ წვლილს მაინც შევიტანთ ხსენებულ საქმეში.

2

01 ქრისტიანობა – იუდაიზმის ისტორიულ-რელიგიური ციკლიზმი, წრებრუნვა, იესუ ნაზარეველის დროს, ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ თანავარსკვლავედში მოექცა, როცა ებრაელობა ორმაგ, ეროვნულსა და სოციალურ ჩაგვრას განიცდიდა. რომი – ერის ნაციონალური ჩაგვრის ფაქტორი, ებრაული მღვდელთმთავრობა – შინაარსდაცლილი თანამდებობრივ-რიტუალური ფორმალობის წარმომადგენელი. ამდენად, გარკვეულ დროით რელიგიურ-სოციალურ ჭრილში, იესუ ებრაელებს მოევლინა ვითარცა შინაგანი ეროვნული ჰუმანიზმისა და სიკეთის სიმბოლოს გამომხატველი. სწორედ ამან განაპირობა, რამდენადმე, ქრისტიანობის გავრცელების პირველ საუკუნეებში, მისი გავლენა ხმელთაშუაზღვეთის ებრაულ დიასპორაზე. საერთოდ კი, ებრაულ-იუდაისტური საუკუნეობრივი იდეოლოგიის ქრისტიანიზაცია შეუძლებელი აღმოჩნდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რომელიც ებრაული ეროვნულ-ფსიქიკური თვისებების, ზოგადისტორიულსა და კონკრეტულ პირობებში უნდა ვეძიოთ, აღნიშნულს თავის სპორადული გამოხატულება არა ერთხელ ჰქონია შემდგომ საუკუნეებშიც. (შდრ. H. J. Schoeps, Theologie und Gesch. des Juden-Christentums, 1949).

02 ქრისტიანობა, ვითარცა ახალ საფეხურზე ავლენილი მონოთეისტური რელიგიის სახე (არ უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ებრაული მონოთეიზმი ძველ-ეგვიპტური მონოთეისტური სარწმუნოებრივი გავლენით ფორმირდებოდა) უნივერსალიზაციის გზით (+ ბუდისტური ხსნის ელემენტები) ცდილობდა რელიგიური შეზღუდვების დაძლევას, ერთეულადი ადამიანური სულის აბსოლუტური ღმერთგანსახიერებით. ამასთან გამომდინარე მისი რელიგიური სამების არსობის დიალექტიკიდან, იგი ვერ სძლევს, საკუთრივ ისტორიული ევოლუციის ბუნებას; მართალია თავისი ტრანსცენდენტალური ორიენტაციით არღვევს დროით ეთნიკურსა და ვრცელ - პოლიტიკურ ზღუდეებს, საბოლოო ჯამში მაინც რჩება ადამიანთა სოციალურ-პოლიტიკური მყოვრობითი სინთეზის გამოხატულებად.

ისევე როგორც მონოთეისტური იუდაიზმის პარადოქსალურ განშტოებად იქცა და განვითარდა ქრისტიანობა, საკუთრივ ქრისტიანობაშიც პოლიეთნიკურ, ზოგად-გეოპოლიტიკურ საფუძვლებზე, პარადოქსალური ევოლუციის სახე მიიღეს სხვადასხვა ქრისტიანულმა მიმდინარეობებმა, რაც ერთხელ კიდევ მეტყველებს, ევოლუციის დიალექტიკური ხასიათის აბსოლუტურობასა და უსასრულობაზე.

03. ქართულ-ებრაული ურთიერთობები, თავის საწყისს, შეიძლება ითქვას, ჯერ კიდევ ხალხური, გაუცნობიერებელი ლეგენდებისა და თქმულებების სფეროში ჰპოვებენ. იუდეველობა – ვითარცა უძველესი ისტორიულ-კულტურული ეთნიკური ერთეული, ბიბლიურ ინტერესსა და ცნობისმოყვარეობას უმძაფრებდა მეზობელ ხალხებსა და ტომებს, ამდენად, ხალხების მიმართებაც ებრაელობისადმი გარკვეულ ბიბლიურ ქარგას ემყარებოდა, ეს თავის გამოძახილს ისტორიულ მდინარებაში პოულობდა. ამაზე ნათლად მეტყველებს სუმბატ დავითის-ძის ქრონიკა:

...სოლომონ შვა შვიდნი ძმანი, რომელნი-იგი მოსცნა ღმერთმან ტყუეობასა შინა.

და ესენი შვიდნი ძმანი, ძენი ამის სოლომონისნი, წარმოვიდეს ქუეყანით ფილისტიმი, ტყუეობით წარმოსულნი ჰურიანი, და მოიწივნეს ეკლესიას წინაშე რაქელ დედოფლისა და მისგან ნათელ იღეს. და დაშთეს იგინი ქვეყანათა სომხითისათა და მუნ დღეინდელად დღედმდე შვილნი მათნი მთავრობენ სომხითს.

და ოთხნი ძმანი მათნი მოვიდეს ქართლს. ხოლო ერთი მათგანი სახელით გუარამ, განჩინეს ერისთავად, და ესე არს ერისთავი ქართლისა და მამა ბაგრატიონთა, და ესე ქართლისა ბაგრატიონიანნი შვილნი და ნათესავნი არიან მის გუარამისნი.

ხოლო ძმანი მისი, სახელით საჰაკ წარვიდა კახეთს და დაემზახა იგი ნერსეს. და სხუანი ორნი იგი ძმანი მათნი, სახელით ასამ და ვარაზვარდ, წარვიდეს კამბეჩანს და მოკლეს მათ სპარსთა სპასალარი და დაიპყრეს კამბეჩანი, და დასხდეს იგინი მუნ ცხოვრებად ხორნაბუჯს, და ამა ჟამამდე შვილნი მათნი მთავრობენ მას შინა. (იხ. ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბილისი, 1955 წ., გვ. 373).

თვით საქართველოს ბედის, უკეთ ბედუკუღმართობის ანარეკლს, პალესტინა-იერუსალიმის მოოხრებაში დაეძებდნენ. ეს წითელ ზოლად გასდევს ქართულ ჟამთაღმწერლობას, საკმარისია აქაც ერთ ადგილზე მივუთითოთ: – და ესრეთ სრულ ჰყვეს ბრძანებული იგი ლანგ-თემურისა სპათა მისთა, ვითარცა პირველ ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარმან მეფისა ნაბუქოდონოსორმან ჰყო იერუსალიმს შინა იუდიანთა ზედა მოქმედმან ესევითარისა უკეთურებისამან, რომელმან განასახლნა იერუსალიმით ბაბილოვნად იუდიანნი, ძენი სიონისანი, სიტყუისაებრ წინასწარმეტყუელისა იერემიასსა; მოვიდაო ნაბუზარდან მთავარ-ქონდაქარი და წინაშემდგომი მეფისა ბაბილონისა იერუსალიმად, და დაწვა სახლი უფლისა, და სახლი მეფისა, და ყოველნი სახლნი ქალაქისანი, და ყოველი სახლი დიადი მოცეცხლა ცეცხლითა. ესე ყოველივე ჩუენდა მომართ აღასრულა უწყალომან ლანგ-თემურ და სპათა მისთა, რამეთუ სრულ ჰყვეს ყოველივე ბრძანებული მისი. (ქართლის ცხოვრება, ტ. 2, თბილისი, 1959 წ. გვ. 453-454, შდრ. გვ. 398).

04. საუკუნეთა ტრიალში, არაერთი მომხდური

არაქრისტიანი მომთაბარე აზიური ტომების შემოსევა-თავდასხმების შედეგად (არაბები, მონგოლები, ხვარაზმელები, მამლუქები, თურქები) მრავალი ქართული ქრისტიანული სასულიერო ცენტრი, როგორც საქართველოში ასევე მის გარეთაც, ნგრევა-მოოხრების მსხვერპლი ხდებოდა, ხელნაწერები ნადგურდებოდა, წიგნები ისპობოდა; ანტიოქია, ეგვიპტის სულთან ბაიბარსის დაპყრობის შემდეგ მუსულმ. ქალაქი ანტაკია ხდება (1268 წ.). ცხადია, ჟამთა ავბედითობას შეეწირა არა ერთი მნიშვნელოვანი წყარო, ქართულ-ებრაულ ისტორიულ ურთიერთობებს რომ მოჰფენდა, მეტი დამაჯერებლობით, შუქს, ბრძოლათა და მიგრაციათა ორომტრიალში გაქრა არა ერთი ნაკვალევი, ხსენებული ურთიერთობების არსებობის შედეგი.

პალესტინა-საქართველოს ურთიერთობები ორმხრივია, ისინი მოიცავენ როგორც რელიგიურ, ასევე ეთნიკურ თვალსაზრისებსაც. ქრისტიანობა მჭიდროდ აკავშირებს საქართველოს პალესტინასთან, მეორე მხრივ, ძვ. წელთაღრიცხვის მე-8 – მე-6 საუკუნეებში, პალესტინიდან დევნილი ებრაელები ასურეთ-ბაბილონის მიღმა ჩრდილოეთის ქვეყნებს აფარებენ თავს და მცხეთაში ძვ. წ-ით 169 წელს პირველ ებრაულ კოლონიას აარსებენ. ქართლის ცხოვრების ყველასათვის ცნობილი ლეგენდარული ცნობით: და მუნით ოტებულნი ჰურიანი მოვიდეს ქართლს, და მოითხოვეს მცხეთელ მამასახლისისაგან ქუეყანა ხარკითა, (ხოლო მცხეთელმა მამასახლისმან) მისცა და დასხნა არაგვსა ზედა, წყაროსა, რომელსა ჰქვიან ზანავი. და რომელი ქუეყანა აქუნდათ მათ ხარკითა, აწ ჰქვიან ხერკ, ხარკისა მისთვს. (აქაც, ტ. 1, გვ. 15-16).

ზანავი-ქერკზე ცნობა აქვს დამოწმებული მოსე ხორენელს მარაბას კატინადან, კერძოდ თხრობა ბაგრატიონების, არშაკიდებისა და ამათუნების ებრაული წარმომავლობის შესახებ (იხ. Моисеи Хоренский, История Армении, (пер. Н. О. Эмина), М. 1893, დაწვრილებით ანალოგიური საკითხების ანალიზს, ჩვენი წიგნის, К истории евреев Кавказа, პირველ ტომში, შევეხებით).

საკუთრივ ებრაულ-ბიბლიური ისტორიოგრაფია, არაერთხელ უსვამს ხაზს, ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა აყრა-გამოდევნის ფაქტს. საკმარისია ამ თვალსაზრისით ბიბლიის ორ ცნობილ ადგილზე მივუთითოთ: მეფეთა წიგნი, 2, 24, 11-17; და ირმია, 52, 26-30;

ცხადია, პალესტინიდან წარმოტყვევებული ებრაელების ტომობრივი შემადგენლობა, თავისთავად ინტერესს არაა მოკლებული, მით უმეტეს, რომ ამ თვალსაზრისით არ არსებობს ერთი დადასტურებული აზრი. კერძოდ, ძვ. ებრაული აპოკრიფული ლიტერატურის ერთ-ერთ ძეგლში (ძვ. წ. 2 ს.), რომელიც ვინმე დემეტრეს მიეწერება, ნათქვამია:

– დემეტრუსი ამბობს იუდეას მეფეთა წიგნის შესახებ; იეჰუდას, ბენიამინის და ლევის ტომები სანჰერიბმა კი არ წარატყვევა, არამედ ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმის უკანასკნელი მოოხრებისას, 128 წელსა და 6 თვეს.

იმ ხანიდან როცა ათი ტომი წარმოტყვევებული შომრონიდან პტოლემე მე-4-მდე არის 573 წელი და 9 თვე.

აღსანიშნავია, რომ ქართული საისტორიო ტრადიცია არ იხსენებს ძვ.წ.-ით მე-8 საუკუნეში ისრაელური ტომების წარმოტყვევებას პალესტინიდან (შომრონიდან). სავარაუდოა, ებრაელთა ამ ადრეულ მიგრაციას არ ჰქონია გამოძახილი, სპეციფიკური მიზეზების გამო, ებრაელთა განსახლების კონკრეტული ადგილების მიღმა, და ამდენად ამ მიგრაციულ ტალღებს არ უნდა შეეღწიათ ასურეთის სამეფოს იქითა ჩრდილოეთის პუნქტებში.

საინტერესოა ქართლის ცხოვრების ხსენებული ადგილის, ვახუშტისეული ინტერპრეტაციაც:

- ისრაილთა გამოსვლა ზღვასა

ამისა შემდგომად მოვიდა ამბავი, ვითარ ისრაილთა განვლეს ზღუა დასაბამით ცუნდ, ქართულსა ტუნპე და აქეს ყოველთა წარმართთა ღმერთი ისრაილთა, ამისა შემდგომად უცალო იქმნენ სპარსნი და იცეს ჟამი ქართველთა და განდგნენ და მორჩილებდენ მცხეთელ მამასახლისსა. (იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, საქართველოს ისტორია, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. 4, თბილისი, 1973, გვ. 52)

- (ქაიხოსროს სპარსთა მეფის...) ხოლო ამათ ჟამთა შინა შემოვიდნენ თურქნი სახლნი ვითარ ც ყ (2800) ლტოლვილნი სპარსთაგან და უჩინა მცხეთელ მამასახლისმან ადგილნი და დახსნა იგინი, რამეთუ ამათ ჟამთავე შინა ვინცა ვინ ვოვიდიან – ასურნი, ბერძენნი, ხაზარნი, ყოველთა ემეგობრებოდიან ქართველნი შიშისათვის სპარსთა და შეიწყნარიან თვისთა ქუეყანათა და ამაგრებდიან ციხე-ქალაქთა მოლოდინისათვის სპარსთასა - (ვახუშტი, გვ.53., შდრ. ქ ც, ტ.1, გვ.15)

- ნაბუქოდონოსორ მეფე სპარსთა

შემდგომად კუალად მოვიდნენ ლტოლვილნი ურიანი ნაბუქოდონოსორისაგან დასაბამით ძტიგ, ქართულსა ს ლ, და დასხა იგინიცა მცხეთელ მამასახლისმან ხერკს (დავიდ რექტორის შენიშვნა: ხერკი არის საგურამო), არაგვს ჩრდილოდ კერძოდ. გარნა ამ ჟამამდე იყო საქართველოს ენა სომხური და ესოდენთა ნათესავთაგან იწყეს ენისა ქართულისა თქმად და აქუნდათ სჯულიცა უბოროტესი ყოველთა, რამეთუ არა იცოდენ ნათესავი, არცა ცოლ-ქმრობა, ყოველსა სულიერსა სჭამდენ შეგინებულისადმდე, მკუდარსა კაცსა ჭამდენ. – (ვახუშტი, გვ.53) შენ. ძ ტიგ=3363, ს ლ=2230)

05 უძველესი ქართულ-ებრაული ისტორიულ-მატეანური წყაროების, კერძოდ ბიბლიისა და ქ ც-ის დაპირისპირებით წარმოჩენილი ფაქტობრივი ურთიერთსიახლოვის ფონზე, ისმის საკითხი ებრაულ-ისრაელური ტომების შომრონიდან აყრისა (ძვ.წ.მე-8 ს.) და მათი განსახლების შესახებ, იმ გეოგრაფიულ პუნქტებში, რომელთა ტოპონიმებიც მცირე აზიისა და სამხრეთ ამიერკავკასიის არეალურ სახელდებებს უნდა წარმოადგენდნენ, სავარაუდოდ. ამ ასპექტით ნიშანდობლივია, ორი ადგილი–მეფეთა წიგნიდან - 2,17 6-7.

გოზანი (ხაბორი-ეუფრატის შენაკადია მესოპოტამიაში)-აქადური ლურსმნული წარწერები იხსენიებენ ქალაქს-გუზანა, რომელიც ხაბურთან მდებარე თელ-ჰალაფი უნდა იყოს (იხ.მ.ფონ ოპენჰეუიმის ხელმძღვანელობით წარმოებული გათხრების (1911-1921 წწ.)

მე-5 საუკუნის (ძვ.წ.) ქვედა ფენაში გამოვლენილია ჭრელი კერამიკაც.

გვსურს, ზემოაღნიშნულის გარდა, ყურადღება გავამახვილოთ, თუნდაც საკითხის დასმის წესით, ბიბლიაში მოხსენებულ ზოგიერთ ტოპო-ეთნონიმთან. ასე მაგ. ისაია, 37, 11-14 ხეპტუაგის თარგმანი, ჩვენი აზრით, არ გადმოსცემს სწორედ ბიბლიისეულ ვარიანტს სფარვაიმ და არახეპფარიმ როგორც ხეპტუაგინტაშია.

კიტტელის ბიბლიის გამოცემაში, სქოლიოში მოტანილია (სიც) ვარიანტიც (იხ. იბლია ებრაიცა, I95I). ვულგატა სწორედ თარგმნის სეპჰარვაიმ (იხ. ibliorum sacrorum, 1913, გვ.698) საინტერესოა, ხომ არაა საგულისხმო სეფარვაიმთა ქალაქში სპერებ-იბერების ქალაქი, მით უმეტეს თუ ებრ. ფორმა სეფარვა-იმ მრ.-ისფორმად მივიჩნევთ? (შდრ. ს. ჯანაშია, ტ.2)

საყურადღებოა, რომ მე-18 საუკუნის პრედიკატორთა ფრატრი ლექვიენი თავისებურ განმარტებას აძლევს, ბიბლიაში, წინასწარმეტყველ ამოსის წიგნში მოხსენებულ ჰიდრონიმს კირ/კირ-ა(ამოხი,1,5) ასე ბრძანა ადონაიმ, დამასკოს სამ ცოდვაზე და მეოთხეზე აღარ დავინდობ მას, რადგანაც მათ გალეწეს გილ'ადი რკინის სალეწებით. და გავგზავნი ცეცხლს ხაზელის სახლში და გადასწვავს ის ბენ-ჰადადის დარბაზონებს, და დავამსხვრევ დამასკოს ურდულს და გავანადგურებ ავენისველის მცხოვრებთ და ედენის სახლეულობის სკიპტრის მპყრობელს და წავა არამეელი ხალხი ტყვედ კირას (კირა-ში) ბრძანებს უფალი (შდრ. ამოხი, 9,7) ვულგატა ჩვენთვის საინტერესო ადგილს, ასე თარგმნის: et transeferetur populous Siriae Cyrenem... შესაბამისადაა თარგმნილი მეორე ადგილიც იგივე ამოსიდან (9,7): nunquid non Israel ascendere feci da terre Aegypti et Palaestinos de Cappadocia et Syros მაშინ როცა რუსულ სინოდარულ გამოცემაში წინააღმდეგობრივი თარგმანია (1,5) И пойдэт народ Арамейский в плен в Кир 9,7) Не Я ли Вывел... Аримлян из Кипра? უფრო დაბნეულსა და ორაზროვან თარგმანებს იძლევა სეპტუაგინტა, (1,5) ე.ი. და წარტყვევდება დაძახებული (მიწვეული) სირიელი ხალხი. გამოვიყვანე სირიელები ორმოდან(?!) ასეთია დაახლოებით კირ/კირა ეთნონიმის პარალელური თარგმანების საფუძველზე ჩატარებული ანალიზი. LLe Quien -ით: Ex his montibus fluit Cyrus amnis ultra quem Deduqti Israelitae multi a Regibus Assyriorum ut Amos I.Y.5 egitur, adeoque in remotion es Albaniae partes.p. I333 (ix. ORIENS CHRISTIANUS' I740) ე.ი. ამ მთებიდან მოედინება მტკვარი, რომლის იქითა მხრიდანაც მოვიდნენ ასირიელთა სამეფოდან, მრავალნი ისრაელნი, როგორც ამოსთან ვკითხულობდით... აქ რამდენიმე საკითხია დასაზუსტებელი. 1. ჯერ ერთი, ამოსთან არაა ისრაელებზე ლაპარაკი, არამედ გარკვეულადაა ნათქვამი ორსავე ადგილას. 1,5 და 9,7 არამეელები (სირიელები). ცნობილია, რომ ძვ.წ.-ით 745-727 წლებში, ტიგლათ-ფალასარ მესამემ, დამასკოს მცხოვრებნი გადაასახლა კირ-ში (შდრ.ამოსი,1,5; მეფ.,2,16,9) ისაიას მიხედვით (22,6); კირ-ი ელამთან ერთად, მონაწილეობდა ასურელთა ჯარში. ამ ადგილს გეოგრაფიული იდენტიფიკაცია არ ყოფილა დადგენილი ბიბლიათმცოდნეობასა და ძვ. ისტორიის შემსწავლელ სპეც.ლიტერატურაში. ლე ქვიენის მოსაზრებაც არ ყოფილა სადმე მინიშნებული ან ციტირებული კირ/მტკვრის იგივეობაზე. 2.საკუთრივ კირ-(ა)/მ-ტ-(კუარ)-ის ჰოდროტოპონიმური იდენტიფიკაციის საკითხი, რამდენადაა სავარაუდო მათი იგივადობა?! ამ საკითხების შესწავლა სპეციალური, დამატებითი წყაროების მოძიებასა და ანალიზს მოითხოვს. შდრ W.E.D.Allen, A History of the Georgian Peaple, from the Beiginning down to the Russian Conquest in the Nineteenth Century, L., I932 pp.368-39I 06 როგორც უკვე იყო აღნიშნული ზემოთ, ებრაულს, რიგ სხვა ახლოაღმუსავლურ ენებთან ერთად საგრძნობი გავლენა მოუპოვებია ქართლში, ქ ც-ით: (სპარსეთის მეფემ) - ამან დაიპყრა ბაბილოვანი და ასურეთი, და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა. (იხ.ტ.2, გვ.16)

საკუთრივ ქართული საისტორიო ტრადიცია, მცხეთაში, ებრაული კოლონიის გაჩენას, ელინისტურ ხანას აკუთვნებს... , მოქცევაი ქართლისაი ქართლისაიში, ვასპურაკანის მთავარი, მიმართავს რა მცხეთელ ებრაელ აბიათარს, ეუბნება, რომ ფ გ (503) წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მათი წინაპრები მოვიდნენ ქართლში, იმავე საუბარში აბიათარი ამბობს, რომ 334 წელია, რაც ღმერთი აღარ მფარველობს ისრაელს, (ქრისტეს მოწამებრივი სიკვდილის გამო). ამ რიცხვების საფუძველზე ვარაუდობენ ებრაული კოლონიის გაჩენის თარიღსაც ახ.წ. 334 – ძვ.წ. 503 = 169 წ. (ძ.ვ.) ყოველ შემთხვევაში ურიათუბნის არსებობა მცხეთაში, შემდგომ საუკუნეებში, უტყუარი წყაროთი დასტურდება. ქ ც: შემდგომად ამისსა განძლიერდა ალექსანდრე და დაიპყრა ყოველი ქუეყანა, და აღმოვიდა ქუეყანასა ქართლისასა და პოვნა ციხე-ქალაქნი ესე ძლიერნი შუა-ქართლ: წუნდა, ხერთვისი მტკურისა, ოძრჰე მოკიდებული კლდესა ღადოსსა, თუხარისი მდინარესა ზედა სპერისასა, რომელსა ჰქვან ჭოროხი, ურბნისი, კასპი და უფლისციხე, ქალაქი დიდი მცხეთა და უბანნი მისნი, სარკინე, ციხე დიდი და ზანავი, უბანი ურიათა და რუსთავი... (ტ.I, გვ.17-18 შდრ.საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ.1, თბილისი, 1970, გვ.452-453)

ზ. ჭიჭინაძის ვარაუდით, საქართველოში, ებრაელთა რიცხვი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ებრაული სასულიერო წოდება და საერო ხელმძღვანელობა მოუწოდებდნენ ხალხს, კავკასიის ოთხივე კუთხეს მოსდებოდნენ და გაფანტულიყვნენ. (იხ. ქართველთ ებრაელნი საქართველოში, თბ., 1904, გვ.10; ჟურნ. სიონი, თელ-ავივი, 1973, №2, გვ.40-42) Вопросы для Тифлисского Археолог. създа, предлохенные д-ром А.Я.Гаркави / О южной границе Хазарии, происхождении хазар и пребывания евреев на Кавказ до Р.Х./ Древности, Тр.Моск.Архееолог.Обш. , прилож.стр.46, I46; I880; Д.Г.Маггид, Евреи на южных окраинах России. Евреи на Кавказе. Историч. очерк., Пгр. /I9I8/

08 საქართველოში მცხოვრებ ებრაელებში არსებულსა და გავრცელებულ ძლიერ მესიანისტურ ტენდენციებზე მეტყველებს ცნობილი ჩანართი ქ ც-ში, სადაც ელიოზ მცხეთელის დედა ტომისგან ელი მღვდლისა (ელი ჰაქოჰენ), პალესტინაში გათამაშებულ მოვლენებს წინასწარმეტყველთა სიტყვების აღსრულებად მიიჩნევს. გარდა ამისა, ის ფაქტი, რომ პალესტინელი ებრაელები საჭიროდ რაცხენ, თავისი მცხეთელი თანატომელების ჩარევას მოვლენათა განვითარების ხასიათსა და წარმართვაში, მიუთითებს ერთის მხრივ, საქართველოში მოსული ებრაელების რელიგიურ-იდეოლოგიურ წონასა და მნიშვნელობაზე, მეორეს მხრივ კი, ამ არეალში არსებულ ძლიერ იუდეურ-ქრისტიანულ სინკრეტულ ტენდენციებზე. აი, ეს ადგილიც ქართლის ცხოვრებიდან. (ტ.1, გვ.36)

ცხადია, ჩვ.წ.-მდე, რიგი საუკუნეების განმავლობაში, ქართველურ ტომებში არსებული წარმართულ-რელიგიური შეხედულებები და რწმენები, მთელი თავისი სინკრეტულ-კომპლექსური გამოხატულებით (წარმართულ-მაზდეანური და სხვა ეთნოტომობრივი ელემენტები) თავისებურ პროექციას უმზადებდნენ მე-4 საუკუნეში გავრცელებულ მონოთეისტურ-იუდაისტურ სარწმუნოებას – ქრისტიანობას.

საქართველო ხომ თავიდანვე, ადრეულ საუკუნეებშივე იქცა მრავალთა ტომთა ნავთსაყუდელად. ეს თავის ასახვას პოულობდა იდეოლოგიურ-სარწმუნოებრივ მოვლენებზეც. ქ ც-ის შესაბამისი ადგილის ვახუშტისეული გადმოცემის მიხედვით (გვ.15)

(იხ. აგრეთვე ალ. ხახანაშვილი, ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ. , 1904; მ. ჯანაშვილი, საქართველოს ისტორია, თბ. , 1906).

**(გაგრძელება იქნება)**

# სატმარის გამოცანები

ულტრაორთოდოქსების სათემოების (ხარედიმები) სწრაფი ზრდა ძალიან აწუხებს თანამედროვე ისრაელს. ულტრაორთოდოქსების შობადობის პროცენტი საშუალო ებრაულ სექტორთან შედარებით ოთხჯერ მეტია. მათი უმრავლესობა ჯარში არ მსახურობს. მამაკაცებს შორის უმუშევრობა 70%-ს აღწევს. ხარედიმები უმეტესწილად სახელმწიფოს სოციალური პროგრამებითა და უცხოური ებრაული ორგანიზაციების დახმარებით არსებობენ.

ისრაელში თეოკრატიის ჩასახვის სცენარში დიდი ისტორიული ირონიაა. ამისგან თავის არიდება შესაძლებელი იქნებოდა, თუკი „ხარედიმი“ ლიდერები ქვეყნის ჩამოყალიბების პროცესში ყურს უგდებდნენ სატმარელ რაბინს ქვეყნიერებაზე ყველაზე ოქროპირი ანტისიონისტი რაბინის — იოელ მოშე ტეიტელბაუმის საუბარს (1887-1979 წ.). მეორე მსოფლიო ომამდე იგი უნგრულ (მოგვიანებით — რუმინულ) ქალაქ სატმარში მსახურობდა. ჰოლოკოსტს გადაურჩა. ომის შემდეგ იერუსალიმში ცხოვრობდა, შემდეგ კი საბოლოოდ ბრუკლინის რაიონში, ვილიამსბურგში დამკვიდრდა. მოგვიანებით, ნიუ-იორკის ოკრუგში ორენჯში მან დაარსა სატმარული ქალაქი კირიათ-იოელი, რომელსაც ეს სახელი მის პატივსაცემად დაერქვა. მას პირველივე დღიდან არ ეწადა ურთიერთობა ებრაულ სახელმწიფოსთან, არც პოლიტიკური და არც — ფინანსური. ყოველ დღე მის დაქცევას ავედრებდა ღმერთს და მიმდევრებსაც იგივეს ურჩევდა. მონრეალში გამოქვეყნებული რაბის ვრცელი ბიოგრაფია დაწერილია დოვიდ მაიზელსის — ტეიტელბაუმის ერთ-ერთი უახლოესი ხასიდის ვაჟის მიერ. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რაბის მოსაზრებაზე ისრაელის სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც იგი ერეტიულ, ლამის სატანური იდეოლოგიის მატარებელ სახელმწიფოდ მიიჩნევს, რომელიც ბრალეული იყო ყველა კატასტროფაში, რაც კი თანამედროვე ებრაულ ისტორიაში ჰოლოკოსტის ჩათვლით მომხდარა. რაბი სჯიდა ყველას, ყველაზე სწავლულებსა და ნიჭიერებსაც კი, ვინც ებრაული სახელმწიფოსგან თუნდაც ერთ შეკელს მიიღებდა. ამის ნაცვლად, ყველა სატმარელ მამაკაცს სამსახურში მოწყობას სთავაზობდა. დღემდე სატმარელ ხასიდებში, როგორც აშშ-ს მასშტაბით, ასევე ისრაელში, უმუშევრობის ყველაზე დაბალი დონეა. მაიზელსის წიგნი არ აანალიზებს ტეიტელბაუმის რთულ და პარადოქსულ რელიგიურ ფილოსოფიას. ეს უფრო მეტად მოწიწებითი ჰაგიოგრაფიული წიგნია.

ტეიტელბაუმი რელიგიურ მოღვაწეთა შორის სიონიზმისა და ისრაელის სახელმწიფოს, მართლაც ყველაზე უკომპრომისო ოქროპირი მოწინააღმდეგე იყო. სიონიზმის დიდმა მიღწევებმა, ისრაელის ზებუნებრივმა სამხედრო გამარჯვებებმა და მილიონობით ებრაელი ლტოლვილის ინტეგრაციამ არათუ შეარყია მისი აზრები — პირიქით, სატმარელი რაბი ამას მართლმორწმუნე და ღვთისნიერ ებრაელთა რწმენის ეშმაკეულ გამოცდად მიიჩნევს. მისი ერთ-ერთი ყველაზე წინააღმდეგობრივი აკრძალვა, რომელსაც ორთოდოქსულ წრეებში არ აქცევენ ყურადღებას გახლავთ ის, რომ 1967 წელს ბრძანა იერუსალიმის გოდების კედელს არ გაეკაროთო. მის წინ ლოცვა სასტიკად აკრძალა.

ზოგიერთი დეტალი საკმაოდ ინტიმურია. წიგნის დასაწყისში მაიზელსი გვიამბობს ისტორიას ტეიტელბაუმის ადრეული ბავშვობის შესახებ. თქვენ აქ საკმაოდ უცნაურ ეპიზოდებს შეხვდებით. მაგალითად, სამი წლის იოელ ტეიტელბაუმი ხშირად და დიდხანს ირეცხავდა პირს, იბანდა ხელებს და იჯდა ღამის ქოთანზე, ხშირად წყვეტდა ლოცვებს, რათა საპირფარეშოში განმარტოებულიყო. ასეთი ქცევა დედამისს სერიოზულად აღელვებდა, მაგრამ ახსნა მარტივი იყო: არ შეიძლებოდა ლოცვა მთელი ტანის გასუფთავების გარეშე. ბავშვობის ამ ეპიზოდებიდან ერთი რამის თქმა შეიძლება — იგი დაავადებული იყო თავსმოხვეული მდგომარეობის სინდრომით. ისრაელურ ვალუტასაც კი არ ეხებოდა, რაც ასეთი ფსიქოლოგიური აშლილობის კიდევ ერთი დამადასტურებელი სიმპტომი გახლდათ. უჩვეულო იყო ასევე არანორმალური ინტერესი იმ წინდების სიმკვრივის მიმართ, რომელსაც სატმარელთა სათემოების ქალები ატარებდნენ.

მაიზელსის სიტყვებით, „რაბი ასწავლიდა, რომ არ შეიძლებოდა 70-დენიანი* წინდების ტარება, რადგან სიტყვა „სოდ“-ის (საიდუმლო) ციფრობრივი მნიშვნელობა გახლავთ 70. საიდუმლო კი ის არის, რომ წინდები გამჭვირვალე იყო. ამას მოსდევს იმის აღწერა, ბრუკლინელი ქველმოქმედის ლიპი ბრახის დახმარებით ტეიტელბაუმმა როგორ შექმნა სრულიად გაუმჭვირვალე წინდების ექსკლუზიური ხაზი.

ფულის მიღების შემდეგ ლიპა პრახი მუშაობას შეუდგა. მან მოინახულა წინდის რამდენიმე მქსოველი, შეაგროვა ნიმუშები და მიუტანა რაბის სანახავად. იგი კმაყოფილი დარჩა საქმის მიმდინარეობით და ყოველი ნიმუში საკუთარი ხელით შეამოწმა. თუ წინდებში თმა ჩანდა, წინდები არაფრად ვარგოდა... წინდების ბრენდს დაარქვეს „პალმა“. ასე ითარგმნებოდა იდიშიდან რაბის გვარი. იმ დღიდან ყველა სატმარელი ქალი და გოგონა ამ წინდ-



ებს ატარებს. ხასიდური ლიტერატურის — მისტიკური ტრაქტატების და ზღაპრების კითხვისასაც კი არ შევხვედრივარ არაფერს, რომელიც ცოტათი მაინც მომაგონებდა ამას: რაბი შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი ხელებით ამოწმებდა ყველა წინდას, ქალების თეთრეულის ახალ ხაზს კი სახელი თავის პატივსაცემად დაარქვა. თავსმოხვეული მდგომარეობის სინდრომით დაავადებულთა უმრავლესობა თავის დაავადებას აცნობიერებს. რაბი კი ფსიქოლოგიურ სიმპტომებს ღმერთისგან ბოძებულად მიიჩნევდა.

მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. იგი ობსესიური იყო თუმცა, შეიძლებოდა უკიდურესად არათანმიმდევრულიც ყოფილიყო. თავის ხასიდებს უკრძალავდა სიონისტთა დახმარების მიღებას, თუმცა, როგორც ჩანს, გამონაკლისი თავისთვის დაუშვა. როდესაც საფრთხე მის სიცოცხლეს შეექმნა, დათანხმდა სამაშველო მატარებელში ჩაჯდომას, რომელიც უნგრელი სიონისტების ხელმძღვანელის — რუდოლფ კასტნეროს მიერ იყო გაგზავნილი. ამ მატარებელში აშკარა სიკვდილს 1650 ებრაელი გადაურჩა. ომის შემდეგ კი რაბიმ პალესტინაში იმიგრაციის სერთიფიკატი მიიღო, თუმცა, ადრე თავის მიმდევრებს ამაზე ფიქრსაც კი უკრძალავდა.

ამ ეპიზოდის ამსახველი თავი — ყველაზე წინააღმდეგობრივია მაიზელსის წიგნში. იგი სრულდება აპოლოგეტური ახსნით: თითქოს კლუჟის რეფორმისტული სათემოსთვის მიუღებელმა კასტნერის მამამ ნახა სიზმარი, რომელშიც მისი ბებია ამბობდა, რომ შვეიცარიაში გასაგზავნი მატარებელი, რომლითაც მისი შვილიშვილი აპირებდა გამგზავრებას, სადგურიდან სატმარელი რაბის გარეშე ვერ გავიდოდა. ამას მოჰყვება განსაკუთრებით საშინელი პასაჟი: როდესაც ვიღაცამ შეამჩნია, რომ რაბი ნაცისტების კლანჭებს გადაურჩა — სიბნელიდან სინათლეში გამოვიდა, რაბიმ უპასუხა: „არა! მე ნაცისტური სიბნელიდან უარეს სიბნელეში — სიონისტურ ეპოქაში გამოვედი“.

სხვა ეპიზოდები არა მხოლოდ წინააღმდეგობრივი, პარადოქსულიცაა. ომის შემდგომი პერიოდის სხვა რაბინებისაგან განსხვავებით, ტეიტელბაუმი იცავდა უნგრულ ორთოდოქსიაში მიღებულ პრინციპს არაორთოდოქსებისაგან სრული განცალკევებულობისა, ცხადია, საჯაამათო საქმეებში. ამ სეპარატისტული იდეოლოგიის უკიდურესობამდე მიყვანის შემდეგ მას ეყო ძალა და ვილიამსბურგში სრულიად ავტონომიური სათემო შექმნა — 1947 წელს იგი, ჰოლოკოსტის დროს გადარჩენილმა რამდენიმე ათეულმა ებრაელმა დააარსა. ახლა კი მისი მიმდევრები მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაახლოებით 150 ათასი ადამიანია. დღეს მსოფლიოში ეს ყველაზე დიდი ხასიდური მიმდინარეობაა.

ებრაელების დიდი ნაწილისგან იზოლაციაში მოქცევის მიუხედავად, სატმარელების დანარჩენ ებრაელებთან კავშირი მაინც მყარი რჩება. საკუთარი გამოცდილებიდან შემიძლია ვთქვა: უცხოელი, რომელიც პარასკევ საღამოს სატმარულ სინაგოგაში შევა, ძნელად თუ დააღწევს თავს ხასიდებს, რომლებიც მას ღამის გასათევად და დასაპურებლად ოჯახებში ეპატიჟებიან. ამას გარდა, ისრაელის ომების დროს ებრაული სახელმწიფოს დამარცხებისათვის ლოცვის პარალელურად, რაბი თავის ხასიდებს მოუწოდებდა წაეკითხათ ფსალმუნები, რომლებშიც ღმერთს ომში ებრაელების სიცოცხლის დაცვას ავედრებდნენ. როგორიც არ უნდა იყოს სატმარელების ზიზღი სიონისტებისადმი, ებრაელების მიმართ ძალიან თბილნი და გულღიანი არიან. ტეიტელბაუმის წინააღმდეგობრივი ბუნება კარგად ჩანს 1968 წელს ამერიკის სენატორ — ჰუბერტ ჰამფრისთან შეხვედრისასაც. მაშინ ჰამფრი აშშ პრეზიდენტის პოსტზე იყრიდა კენჭს.

შეხვედრის წინ რაბის თანაშემწეებმა სენატორი გააფრთხილეს: არ ღირს მასთან ისრაელთან დაკავშირებული პოლიტიკური საკითხების განხილვა. როდესაც შეხვედრის შემდეგ ამის შესახებ რაბის უამბეს, მან გაიცინა:

— ჰამფრის ჩემთან სიონისტური სახელმწიფოს მხარდაჭერაზე რომ ესაუბრა, ეს სულაც არ ამაღელვებდა. ებრაელებს გვაქვს თორა, რომელიც გვიკრძალავს სახელმწიფოს რეიტინგის განსაზღვრას, ასე რომ ჩვენ არ შეგვიძლია ამერიკას სახელმწიფოს მხარდაჭერა მოვთხოვოთ. არაებრაელებს კი თორა არ აქვთ და სახელმწიფოს მხარდაჭერისას, არაებრაელი გრძნობს, რომ ებრაელებს ეხმარება. ამიტომ, თუ ამერიკელი არაებრაელი სიონისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოდის, ეს აჩვენებს, რომ იგი ანტისემიტია.

დღეს ებრაელობა გმობს სატმარული მოძრაობის ისრაელის სახელმწიფოსთან შეურიგებლობას ბევრი თავად მოძრაობას უბრალოდ გარყვნილებას უწოდებს. ამასთან ერთად, ჰოლოკოსტის შემდეგ აღმოცენებულმა ვერცერთმა გაერთიანებამ, ვერ შეძლო ასე ეფექტურად შეენარჩუნებინა ძველი რელიგიური და კულტურული ტრადიციები, აღარ არის საუბარი იდიშზე. რომ არა მათი ტოტალური გარიყულობა დანარჩენი ებრაული სამყაროსაგან — რეზულტატში კი ტეიტელბაუმის სურვილი ებრაული სახელმწიფოს წინააღმდეგ დაუსრულებელი ომისა, — ამ ხასიდურ ჯგუფს იუდაიზმის განმტკიცებასა და თანამედროვე ებრაელობის ცხოვრებაში უზარმაზარი წვლილის შეტანა შეეძლო.

**დიდი სოფლის ისტორიიდან**

სატუ მარი (თარგმანში დიდი სოფელი, უნგრულად — სატმარი) — ქალაქია ჩრდილო-დასავლეთ რუმინეთში, უნგრეთის საზღვრიდან 11 კილომეტრის, ხოლო უკრაინის საზღვრიდან 30 კილომეტრის დაშორებით. მოსახლეობა — დაახლოებით 150 ათასი მცხოვრები.

აქ ებრაელები 1623 წელს დასახლდნენ, თუმცა სათემო ოფიციალურად 1842 წელს დარეგისტრირდა. პირველი სინაგოგა კი მხოლოდ 1858 წელს გაიხსნა. 1910 წელს ქალაქის ებრაული მოსახლეობა 7 ათასით გაიზარდა, ხოლო 1941 წელს ებრაელების რაოდენობა უკვე 13 ათასი იყო (სატმარის მოსახლეობის მეოთხედი). 1944 წლის გაზაფხულის ბოლოს დაახლოებით 18 ათასი ებრაელი ოსვენციმში იქნა დეპორტირებული.

ომის შემდეგ გადარჩენილები სატმარში დაბრუნდნენ, რამდენიმე წელიწადში რუმინეთის სხვა რეგიონებიდან ჩასულების ხარჯზე მათი რაოდენობა 7,5 ათასი იყო, თუმცა, მალე მათი დიდი ნაწილი ისრაელში ავიდა. 2000 წლის დასაწყისში ოფიციალური ცნობებით, სატმარში 38 ებრაელი ცხოვრობდა.

**პროფესორი ალან ნეიდლერი**
'Jewish Ideas Daily'

---

**დენი – წინდის ქსოვილის სიმტკიცე**

## რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება მთავარი რაბინის მ.შ. **აბიმელეხ როზენბლატი**



# ფესახი

ფესახი ებრაელთა ეგვიპტიდან გამოსვლის, მონობიდან განთავისუფლების დღესასწაულია. თორა ამ დღესასწაულის აღსანიშნავად გვამცნობს ოთხ მცნებას, რომელთაგან სამი ამკრძალავია (ლო თაასე), ხოლო ერთი შესასრულებელი (თაასე).

**პირველი მცნებაა** – ხამეცის ჭამის (მირთმევის) აკრძალვა. თორის წიგნში „შემოთ" ნათქვამია (13:3): „და არ უნდა მიირთვათ გაფუებული (ხამეცი)". ჩვენი ბრძენები გვასწავლიან, რომ ამ აკრძალვაში შედის აგრეთვე ამ ხამეცისაგან სიამოვნების მიღება. თორა გვეუბნება: „არანაირი საფუარის შემცველი არ მიირთვათ; თქვენს ყველა საცხოვრებელში მიირთვით ხმიადი (მაცა)". აქედან ვსწავლობთ, რომ არა მარტო ისაა აკრძალული რაც თავად გაფუვდა, არამედ ისიც, რაც ფესახში აკრძალულისაგან გაფუვდა. უნდა აღვნიშნოთ, რომ თორამ დამატებით გაამკაცრა ხამეცის მირთმევის აკრძალვა. თუ, ჩვეულებრივ, საკვებთან დაკავშირებული აკრძალვების დარღვევის შემთხვევაში თორის მიხედვით ცოდვის ჩამდენს როზგავენ, ხამეცთან მიმართებაში მას კარეთი (ებრაელობიდან მოკვეთა) ემუქრება. ამის შესახებ თორის წიგნში „შემოთ" (12:15) ნათქვამია: „...რამეთუ ყოველი, ვინც გაფუებულს (ხამეცს) მიირთმევს, მოკვეთილ იქნება ის სული ისრაელობიდან, (ვინც მიირთმევს ხამეცს) პირველი დღიდან მეშვიდე დღემდე".

თორის **მეორე აკრძალვა**: – ხამეცი არ უნდა იყოს ჩვენს მფლობელობაში, როგორც ნათქვამია (შემოთ 12:19): „შვიდი დღე საფუარი (სეორ) არ უნდა იყოს თქვენს სახლებში". სეორ (საფუარი) – ეს არის გადაფუებული ხამეცი, რომელიც საჭმელად უვარგისია, მაგრამ გამოიყენება ცომის გაფუების პროცესის დასაჩქარებლად. მაგრამ ეს აკრძალვა ეხება არა მარტო სეორს, არამედ ხამეცსაც.

**მესამე აკრძალვა** (შემოთ 13:7): „ხმიადები იჭამოს შვიდ დღეს, და არ მოიძევებოდეს შენთან ხამეცი, და არ მოიძევებოდეს შენთან საფუარი მთელს შენს არემარეზე". უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანი არღვევს „ნუ გამოჩნდება (არ მოიძევებოდეს)" და „არ უნდა იყოს" იმ შემთხევაში, თუ მის მფლობელობაში ხამეცის რაოდენობა კეზაითია (დაახლოებით 28 გრამი სეფარდებისთვის და 28 მილილიტრი აშკენაზებისათვის). ხოლო, თუ ამ ზომაზე ნაკლები ზომის ხამეცი აღმოჩნდება ჩვენს მფლობელობაში, მაშინ არ ვარღვევთ ამ აკრძალვას.

**მეოთხე მცნებაა** – გაანადგურე ხამეცი და სეორი ფესახის წინ, როგორც ნათქვამია (შემოთ 12:15): „შვიდი დღე მიირთვით ხმიადები; მაგრამ პირველ დღეს (ანუ დამდეგს) გაიტანეთ საფუარი თქვენი სახლებიდან".

თუმცა ხამეცის ძირითადი აკრძალვის პერიოდი შვიდი (დიასპირაში რვა) დღეა, ანუ ფესახის დასაწყისიდან 15 ნისანიდან 21 ნისანის (დიასპორაში 22 ნისანის) ჩათვლით, 14 ნისანის შუადღიდან უნდა გავანადგუროთ ხამეცი ჩვენს სახლებში. ხამეცის მირთმევის აკრძალვაც ამ დროიდან იწყება, როგორც ნათქვამია (დევარიმ 16:3): „ნუ მიირთმევ მასთან (ფესახთან, ანუ საფესახო მსხვერპლთან) გაფუებულს". ეს არის მსხვერპლის შეწირვის დროის დასაწყისი, ხოლო ეს დრო იწყება 14 ნისანს შუადღისით (ხაცოთ), აქედან გამომდინარე 14 ნისანის შუადღიდან აკრძალულია ხამეცის მირთმევა. დღესასწაულის დასაწყისში კი ამ მცნებას ემატება კიდევ ორი მცნება – „და ნუ გამოჩნდება (მოიძევება)" და „და ნუ იქნება შენს არემარეზე".

ხამეცი, არის ხუთი სახეობის მარცვლეული (ხორბალი, ქერი, შვრია, ჭვავი და პოლბა), რომლებიც შეერივნენ წყალს და გაფუვდნენ. ეს მარცვლეულის ის სახეობებია, რომელთაგანაც პურს ამზადებენ, საკვებად ყველაზე მნიშვნელოვანი პროდუქტებია და მათი ჭამის წინ წარმოსთქვამენ „...ჰამოცი ლეხემ მინ ჰაარეც". მათი მირთმევის შემდეგ კი „ბირქათ ჰამაზონს" ამბობენ. იმისათვის, რომ პური გემრიელი და მსუბუქი გამოვიდეს, მასში ვუმატებთ საფუარს, რითაც ვიწვევთ მის დუღილს. არსებობს საფუარის ორი ფორმა ხამეცი და სეორი. ისინი ორივე ფქვილის წყალთან შერევისას წარმოიქმნებიან. ხამეცი ეს არის ჩვეულებრივი გაფუების პროცესი, როდესაც გვჭირდება პურის, ან რაიმე ცომეულის გამოცხობა-გაკეთება. გაფუება ხდება იმის წყალობით, რომ ცომი დევს უმოძრაოდ. ხოლო, როდესაც გვსურს დუღილის პროცესის დაჩქარება, ვუმატებთ სეორს. სეორი მიიღება იმის შედეგად, რომ ჩვენ ცომს ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვტოვებთ უმოძრაოდ და ის ფუვდება ისე, რომ მას საკვებად ველარ გამოვიყენებთ. ანუ, ხამეცი საკვებად გამოიყენება, ხოლო სეორის დანიშნულებაა დახმარება გაფუებული საკვების მომზადებაში. მაგრამ მათი კანონები ერთიდაიგივეა და ის, ვისაც სახლში აქვს კეზაითი ხამეცი ან სეორი, არღვევს კანონს „ნუ იქნება შენს არემარეზე" და „ნუ იქნება ხილული".

პურსა და მაცას შორის განსხვავება ისაა, რომ პურისათვის ცომი გადის გაფუების პროცესს. ეს პროცესი არის ცომის შემადგენელი ინგრედიენტების წყალთან შერევის შემდეგი დუღილის შედეგი. იმისათვის, რომ ეს პროცესი დაჩქარდეს, ცომს უმატებენ სეორს. მაგრამ სეორის გარეშეც გაჩერებული ცომი ფუვდება და იბერება. ამიტომ, როდესაც მაცას აკეთებენ, უნდა გაფრთხილდნენ, რომ ცომის გაფუება არ დაიწყოს და ამისათვის მის ცომს გამოცხობამდე ზელენ. თუ ცომი უმოძრაოდ 18 წუთს დარჩა, უკვე იწყება დუღილის პროცესი და მას მაცისთვის ველარ გამოიყენებენ. ჩვენც ყოველთვის მოძრაობაში უნდა ვიყოთ, ვიმუშაოთ საკუთარ თავზე და არ გავამაყდეთ. სწორედ ამას გვასწავლის თორა ფესახში.

ხამეცს სახლიდან ორი ხერხით ვანადგურებთ – ქმედებით და გადაფიქრებით. დაფიქრებით განადგურება ხდება ხამეცის ანულირებით (ბიტულ ხამეც). მასზე უარის თქმით ხამეცს გადავაქცევთ უპატრონოდ, ის არავის ეკუთვნის და ვუტოლებთ მას მიწას. დამატებით ჩვენ ხამეცს ფიზიკურადაც ვანადგურებთ ღამით 14 ნისანს (ამ წელს 5 აპრილს) ჩვენ ვამოწმებთ მთელ სახლს ხამეცის არსებობაზე, ხოლო დილით 14 ნისანს (6 აპრილს) დილით გაგვაქვს ეს ხამეცი და ვანადგურებთ მას (ვაკეთებთ ბიურ ხამეც).

გისურვებთ ყველას ბედნიერ, ქაშერ, მხიარულ ფესახს.

# ფესახის სამზადისი



**— ბატონო ფირუზ, როგორ ემზადებით დამდეგი ფესახის დღესასწაულისათვის? — ასეთი კითხვით მიმართა ჩვენმა კორესპონდენტმა ნინო შავაძემ ქართველ ებრაელთა ბეით ქნესეთის გაბაის ფირუზ კოჩობაშვილს.**

— ფესახისთვის მზადება იანვრის თვიდან დავიწყეთ. გვქონდა საშუალება, მაცა აქ გამოგვეცხო, მაგრამ ეს დამატებით ხარჯებთან იყო დაკავშირებული, თან თანამედროვე ტექნოლოგიაც აღარ გაგვაჩნია. ამიტომ გადავწყვიტეთ, მაცა როგორც ადრეულ წლებში, ახლაც ისრაელიდან შემოგვეტანა. იანვრის შუა რიცხვებში ისრაელში მაცის მწარმოებელი საამქრო მოვძებნეთ. შევთანხმდით ფასზე, საფასურის ნაწილი — 15 ათასი დოლარი გემის დატვირთვისთანავე გადავრიცხეთ. ტვირთის საქართველოში ჩამოტანამ, განბაჟების გარეშე 27 ათასი დოლარი შეადგინა, მასში შედის 1990 ბოთლი ყურძნის წვენი და 7 ტონა მაცა. დანარჩენი თანხა როდესაც გემი ფოთის პორტში შემოვიდოდა მაშინ უნდა გადაგვეხადა. თუმცა გარკვეული შეფერხებები მოხდა, შეფერხების მიზეზი ჯერ უცნობია, გემი ბათუმში ორ აპრილს შემოვა და მეცოდინება რა პრობლემა იყო, თუმცა ინფორმაცია გემის ადგილმდებარეობის შესახებ ყოველთვის გვქონდა. გადამზიდმა კომპანიამ — „ემეს"-მა თავის თავზე აიღო ტვირთის გადმოზიდვა. შეთანხმების მიხედვით, 9 მარტს ტვირთი თბილისში უნდა ყოფილიყო. ჩვენ რატომღაც ყურადღება მოვადუნეთ და როდესაც 9 მარტს გემი არ შემოვიდა, მოვიკითხეთ. 13 თებერვალს გემი „მარილენა" დაიტვირთა აშდოდში და გამოვიდა პორტიდან. 24-ში კი უკან დაბრუნდა, შემდეგ ვღებულობთ ცნობას, რომ გემი „სუკაიენა" 10 მარტს გამოვიდა ხაიფიდან. ეს გემი ჯერ საბერძნეთის პორტში უნდა შესულიყო, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო კიდევ გადაიდო მარშრუტი. შემდეგ მივიღეთ ინფორმაცია, რომ გემი სტამბულში გაჩერდებოდა. გადამზიდმა ფირმამ შემოგვთავაზა შემდეგი გარიგება: რადგან გემი, სტამბულში შემოვა, ჩვენ გვყავს გემი, რომელიც შავ ზღვას ემსახურება და ერთ კონტეინერს იმაზე გადავტვირთავთო, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ამ გემზე აზერბაიჯანის სამი კონტეინერია და მათ მიაწოდებენ თუ არა ტვირთს არ ვიცით, რაც ძალიან სამწუხაროა. ბოლოს ყველაფერი დაზუსტდა და გემი „ურუგვაი" საპორტო ქალაქში — გემბლიგში დადგა. 23 მარტამდე იქ იდგა, რატომ არ ვიცით. მთელ პასუხისმგებლობას ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ, რადგან პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში გადამზიდი კომპანიაა. გადამზიდი ვალდებულია დათქმულ ვადებში მოგვაწოდოს ტვირთი. ჩვენ გადავწყვიტეთ წარმომადგენელი გაგვეგზავნა პორტში, ტვირთი მანქანით ჩამოგვეტანა, თუმცა ფირმამ შემოგვთავაზა, რომ გემი „ასვინუსი" პორტში 25 მარტს შევიდოდა, დაიტვირთებოდა და 29-ში პორტიდან გამოვიდოდა. გემი ორ აპრილს ბათუმის პორტში შემოვა და ალბათ უკვე სამ აპრილს მაცა აქ იქნება და დავიწყებთ მის რეალიზებას როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში. ასე, რომ ჯამაათი მაცის გარეშე ნამდვილად არ დარჩება.

**— ვინ დააფინანსა მაცის საქართველოში ჩამოტანა?**

— მაცის საქართველოში ჩამოტანაში ხაბადის წარმომადგენელი დაგვეხმარა. მეირ კაზლოვსკის ინიციატივით ჩვენ დავუკავშირდით როგორც მწარმოებელ, ასევე გადამზიდავ კომპანიას. ჯამაათს ყოველთვის აინტერესებს თუ ვინ დააფინანსა ესა თუ ის ღონისძიება. სინაგოგას ჰქონდა საშუალება, რომ თანხის გარკვეული ნაწილი გადაეხადა, 80% კი ერთმა პიროვნებამ დააფინანსა, რომლის ვინაობასაც ჯამაათს ფესახის შემობრძანების საღამოს გავაცნობთ. მინდა იმ დღეს იგი თავისი ოჯახით დაილოცოს. ჩვენ გადავიხადეთ 5 ათასი, 22 ათასს ის ადამიანი იხდის.

**— ბატონო ფირუზ, როგორ მიმდინარეობს სინაგოგაში სარემონტო სამუშაოები?**

— რემონტი ნორმალურად მიმდინარეობს. კლიმატური პირობების გამო შეფერხებები იყო. ფესახს პირველ სართულზე აღვნიშნავთ. ამჟამად სკამების აღდგენა მიმდინარეობს, ამინდის გაუმჯობესების შემდეგ ალბათ, მეორე სართულზე ასვლისა და ლოცვის საშუალებაც გვექნება. მართალია, გამათბობელი დამონტაჟებულია, მაგრამ დიდი დარბაზია და სათანადოდ ვერ თბება. სარემონტო სამუშაოები, სავარაუდოდ, ივლისის თვეში დამთავრდება და დარბაზს დიდ დღესასწაულებზე გამოვიყენებთ. ჯამაათს არანაირი პრობლემა არ შეექმნება.

**— გმადლობთ საუბრისათვის.**

# ღმერთი გვიხსნის მათი ხელისაგან!

## ტულუზაში ებრაულ სკოლასთან არაბი ტერორისტის მიერ მოკლული ბავშვების მშობლის მიმართვა ებრაული სამყაროსადმი

იმდენად გულდაკოდილი ვარ, საუბარიც არ ძალმიძს, მიჭირს გადმოგცეთ ჩემი ტკივილი ძვირფასი მეუღლის — რაბ იონათანის, ჩვენი ვაჟიშვილების — არიეს და გაბრიელის, მირიამ მონსენის ქალიშვილის, რაბ იაკობ მონსონს — სკოლის დირექტორის დაღუპვის გამო“. არც ერთს არ განგეცადოთ ასეთი ტკივილი და ტანჯვა.

ბევრი თქვენგანი — ჩემი დები და ძმები — საფრანგეთიდან თუ მთელი მსოფლიოდან მეკითხებით, რით შეგიძლიათ დაგვეხმაროთ მე და ლიორს, ჩემი მეუღლისა და შვილების სულებს. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან მიმძიმს, ვგრძნობ პასუხისმგებლობას, და მოვახერხებ პასუხი რამდენიმე სიტყვით გაგცეთ.

ჩემმა მეუღლემ ცხოვრება თორის შესწავლას მიუძღვნა. ჩვენ მის სამშობლოში იმიტომ დავბრუნდით, რომ დავხმარებოდით ახალგაზრდებს თორის სილამაზის შეცნობაში. იგი ნამდვილად კეთილი, მგრძნობიარე, უანგარო ადამიანი იყო, ეტრფოდა ღმერთის მიერ შექმნილ ყველა არსებას. ყოველთვის ცდილობდა ეპოვა გზა, რათა სხვა ადამიანებში კეთილი მხარე გაეხსნა.

არიესა და გაბრიელს თორის წესებით ვზრდიდით. ვინ იფიქრებდა, რომ ესოდენ მოკლე იქნებოდა დედამიწაზე მათი ყოფნის დრო...

არ ვიცი, როგორ შევძლებთ მე, იონათანის და და მშობლები ნუგეშის მოძებნასა და დამშვიდებას, მაგრამ ვიცი, რომ ღმერთი მოწყალეა და იპოვის გზას, რომ ცხოვრების გაგრძელების ძალა მოგვცეს. მჯერა, მათი წმინდა სულები სამუდამოდ ჩვენთან დარჩებიან. და ახლო მომავალში, მაშიახის მოსვლის შემდეგ, კვლავ ერთად ვიქნებით.

მთელი გულით მჯერა გამოთქმის — „ღმერთმა მოგცა, ღმერთმა წაიყვანა, კურთხეულ იყოს მისი სახელი“. მადლობელი ვარ ღმერთის იმისათვის, რომ ასეთი პატივი დამდო — რაოდენ ხანმოკლეც არ უნდა ყოფილიყო მათი სიცოცხლე. ახლა კი გამჩენმა მათი უკან წაყვანა მოისურვა. მე გთხოვთ ყველას, ვისაც ჩვენი დამშვიდება და ჩვენი ოჯახის წევრების სულების ნეტარება სურს — გააგრძელეთ მათი ცხოვრების გზა.

მშობლებმა შვილებს აკოცეთ, უთხარით თუ როგორ გიყვართ და როგორი მნიშვნელოვანია თორის გზით ცხოვრება. გთხოვთ, დიდი დრო დაუთმოთ თორის შესწავლას, იქნება ეს დამოუკიდებლად, თუ ოჯახში, ან მეგობრებთან ერთად. დაეხმარეთ მათ, ვისაც ამის გაკეთება უჭირს.

შაბათის სანთლების ანთებით შემოიტანეთ უფრო მეტი სინათლე ამ სამყაროში.

ახლოვდება ფესახი. გთხოვთ, ამ დღესასწაულზე ოჯახში მოიწვიოთ კიდევ ერთი სტუმარი, რათა ყველას ჰქონდეს ფესახის სედერზე მოხვედრის და თავისუფლების დღესასწაულის აღნიშვნის საშუალება.

ცრემლებსა და მოგონებებთან ერთად ვისაუბროთ იმაზე, თუ რა მძიმე იყო ეგვიპტური მონობა, როგორ სურთ ჩვენი განადგურება ყველა თაობაში, ჩვენ კი მთელი ხმით წარმოვთქვამთ: ღმერთი გვიხსნის მათი ხელებისაგან!

ვერავინ შეძლო ებრაელი ხალხის სულის გატეხვა. თორასთან და მცნებებთან მისი კავშირი ურღვევია.

დაე, იყოს ნება ღვთისა, რომ მომავალში ჩვენთან მხოლოდ სასიხარულო ამბები ხდებოდეს!

მთელი გულით თანავუგრძნობ მონსონების ოჯახს, ქალიშვილის — მირიამის გარდაცვალების გამო და ვლოცულობ ლეას ვაჟის აარონის გამოჯანმრთელებისთვის, რომელიც ამ ტერაქტში დაიჭრა.

დიდ მადლობას გიხდით მხარდაჭერისა და სიყვარულისთვის.

**ხავა (ევა) სანდლერი**

## ისრაელის ამბები ისრაელის ამბები ისრაელის ამბები

### ქნესეთის დეპუტატობა — ყველაზე არაპოპულარული პროფესია ისრაელში

მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდა ისრაელელებს სურთ დაეუფლონ ყველა პროფესიას ქნესეთის დეპუტატობის გარდა.

ყველაზე მაღალი ქულა ექიმის პროფესიამ მიიღო (8,86), ყველაზე დაბალი — ქნესეთში დეპუტატის მანდატმა (5,45). ახალგაზრდებს შორის პოპულარობით მეორე აღმოჩნდა მეცნიერის პროფესია (8,85 ქულა), მას კვალდაკვალ მოჰყვება ინჟინრის პროფესია (7,93). მასწავლებლის პროფესია (7,33) პირველად გახდა უფრო პოპულარული, ვიდრე „ცახალის“ ოფიცრის პროფესია (7,31). ლიდერთა ჯგუფში ასევე მოხვდნენ ბიზნესმენები (7,10) და თავისუფალი შემოქმედებითი პროფესიის ადამიანები (7,08).

ახალგაზრდებისთვის ჟურნალისტის პროფესიაც საკმაოდ მიმზიდველია (6,99 ქულა). ადვოკატის პროფესიამ მხოლოდ 6,72 ქულა, პოლიციის ოფიცრისამ კი 6,45 ქულა მიიღო.

ბოლოზე ერთი საფეხურით მაღლა რაბინის, ან სხვა რელიგიური მოღვაწის პროფესიაა.

ქნესეთის დეპუტატის პროფესიის დაბალი რეიტინგი ისრაელის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ნიშანია, რადგან ამჟამად ეს სფერო დიდ კრიზისს განიცდის — საზოგადოების მხრიდან ხელისუფლების მიმართ ნდობის ფაქტორი ძალიან შემცირებულია.

### გლობალური მარში იერუსალიმზე

„იერუსალიმზე გლობალური მარშის“ ორგანიზატორები ირწმუნებიან, რომ მასში მონაწილეობას მიიღებს ორი მილიონი არაბი, ღონისძიების მიზანი კი იერუსალიმის „არაბული ხასიათის ხაზგასმა“ იქნება.

მარშის „გენერალურმა კოორდინატორმა“ რიბხი ხალუმმა პრეს-კონფერენცია გამართა. მან განაცხადა, რომ მარშში მონაწილეობას 80 სახელმწიფოს მოქალაქეები მიიღებენ. ღონისძიების მომზადებაში მონაწილეობს 700 ორგანიზაცია, ასევე 64 ქვეყნის ფონდები და ინსტიტუტები.

ლიბანი და იორდანია ისრაელის საზღვრებთან დემონსტრანტების ბრბოს გაგზავნის. ეგვიპტეში გაიმართება „სოლიდარობის მარათონი“ კაიროს ცენტრიდან გიზის პირამიდებამდე. მასობრივი მანიფესტაცია გაიმართება რელიგიურ უნივერსიტეტში — აზ-აზხარში.

ისრაელელი არაბები კი არაბული მიწების კონფისკაციის წინააღმდეგ დემონსტრაციას გამართავენ.

აქციის ზოგიერთი მონაწილე ითხოვს „ჭეშმარიტ მარშს იერუსალიმისაკენ, გათავისუფლების მარშს“.

საინტერესოა სირიელი პალესტინელების პოზიცია: აპირებენ „მოქმედებას ადგილობრივი სიტუაციის შესაბამისად“.

„მარშში“ ასევე მონაწილეობას მიიღებს ანტისიონისტური ებრაული სექტა — „ნეტურეი-კარტა“.

ისრაელმა გაფრთხილება გაუგზავნა სირიის, ლიბანის, იორდანიის, პალესტინის ხელმძღვანელობას და „ჰამასს“ ღაზაში ებრაული სახელმწიფოს საზღვრებთან შესაძლებელი ესკალაციის შესახებ.

**რედაქციისგან:** მკითხველს ვაცნობებთ, რომ „მარში“ არც ისე ხმაურიანი აღმოჩნდა, როგორც მისი ინიციატორები იმუქრებოდნენ.

### ისრაელელებმა კიბოს დიაგნოსტიკაში გარდატეხა შეიტანეს

ბეირ-შევას ბენ-გურიონის სახ. უნივერსიტეტის მეცნიერებმა და საავადმყოფო „სოროკას“ ექიმებმა კიბოს დიაგნოსტიკაში გარდატეხა შეიტანეს. მათ მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენეს, რომ შეიძლება ჩვეულებრივი სისხლის ანალიზის მიხედვით კიბოს განვითარების საშიშროება დადგინდეს, იტყობინება ZMAN.com. კვლევის ხელმძღვანელმა, პროფესორმა და საავადმყოფო „სოროკას“ ონკოლოგიური განყოფილების მთავარმა ექიმმა — იოსებ კაპილუიშნიკმა რადიო 103 -ში საუბრისას განაცხადა, რომ „კვლევა საწყის ეტაპზეა, მაგრამ უკვე კარგი რეზულტატი გვაქვს“. პროფესორის სიტყვებით, ახალი მეთოდით კიბოს დადგენის ექსპერიმენტი ჩატარებულ იქნა ონკოლოგიურ ავადმყოფებზე — დაახლოებით 200 ადამიანზე. მათგან 90%-ს სისხლის ანალიზის პასუხები ჯანმრთელი ადამიანების სისხლის ანალიზისგან განსხვავდებოდა. ჟურნალისტის კითხვაზე ამ ანალიზის შედეგად დადგინდება სხეულის რა ნაწილშია წარმოქმნილი დაავადება, კაპილიუშნიკმა უპასუხა, რომ ამის დადგენაც შესაძლებელი გახდება, ოღონდ კვლევის მომდევნო ეტაპზე. მისი სიტყვებით, კვლევის პირველი შედეგები სამეცნიერო სამყაროში უკვე ცნობილია და მეცნიერებისგან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა.

დასკვნისას პროფესორმა ხაზი გაუსვა, რომ ახალ აღმოჩენას ასევე ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
**გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე**
**თბილისი, ლეონიძის 11ა, ვახტანგ VI ქ.** №30
**ტელეფონები:** 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 / მ-557
9771987898003